ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 26 იანვარი, 2022 №18 (8796) ფასი: 60 თეთრი

ისნის მეტროში ყრუ-მუნჯ მამაკაცზე ძალადობისთვის 2 პოლიციელი დააკავეს

გვ.5

„ნაციონალების რამდენიმე ლიდერი ივანიშვილის უშიშროებასთან თანამშრომლობს“

გვ.3

კახა კუკავა: „ოცნებას“ ყველაფერზე პასუხი მოეთხოვება, მაგრამ ნაცმოძრაობა რომ აპროტესტებს თავისი მთავრობის მიერ მიწების გაყიდვას, ასეთ საპროტესტო აქციაზე ხალხი როგორ მივა?!

გიგა ბოკერია: „ივანიშვილის რეჟიმი სამართალდამცავ ორგანოებზეც ახდენს გავლენას“

გვ.3

გვ.2

გახარია პარტია ლარიბაშვილს და გომელაურს პარლამენტში იბარებს



გვ.2

„პოლიციელი დაკავებულია, მაგრამ უფრო ძლიერი პროტესტია საჭირო“

კახა კოჟორიძე: „ერთ ჩემ კოლეგას დავესესხები – თუ თვალს დახუჭავ დემოკრატიაში, შეიძლება გაიღვიძო დიქტატურაში“

აშშ-ის ელჩი: „ვამაყობთ, რომ დავიმსახურეთ ქართველი ხალხის ნდობა და მეგობრობა“



გვ.4

გვ.4

„დასავლეთის ერთიანობას შეუძლია აღკვეთოს რუსეთის შეჭრა უკრაინაში“

რუსეთს მიაჩნია, რომ დასავლეთი დაძაბულობის კერებს რუსეთის მთელ პერიმეტრზე ქმნის

ISSN 1987-9385

3 ზურაბ ჯაფარიძე 1.000 ლარით დააჯარიმეს

5 ლონდა თოლორაიამ საკონსტიტუციო სასამართლოში პარლამენტს უჩივლა

5 „დედამ 12 წლის ქალიშვილი აიძულა, რომ ბაბუისთვის გაუპატიურება დაებრალებინა“ ექსპერტიზამ მამაკაცის უდანაშაულობა დაამტკიცა

6 „უკრაინის ნატოში მიღების ზუსტი ვადები განსაზღვრეთ“ რადამ დასავლეთს მიმართა

„პოლიციელი დაკავებულია, მაგრამ უფრო ძლიერი პროტესტია საჭირო“

კახა კოჟორიძე: „ერთ ჩემ კოლეგას დავესესხები – თუ თვალს დახუჭავ დემოკრატიაში, შეიძლება გაიღვიძო დიქტატურაში“

იაგო ნაცვლიშვილი

პოლიციელის ქმედებამ, როდესაც მან არასრულწლოვანი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირს სცემა, სრულიად ქვეყანა აღაშფოთა. ყოველ შემთხვევაში ასეთია სოციალური რეაქციის შეფასება თუ პროპაგანდას არ ჩავთვლით, რომელთაც ისევ ნაცმოძრაობის ხელი დაინახეს. საზოგადოების სოციალურ ქსელში აღშფოთების მიუხედავად, ეს საკმარის სამოქალაქო პროტესტში ვერ ითარგმნა.

რატომ არ გვაქვს მსგავს შემთხვევებზე საკმარისი პროტესტი და რამდენად ვართ სრულფასოვანი მოქალაქეები? ეს იყო ერთეული შემთხვევა თუ ეს არის სისტემური პრობლემა? სად იყო მინისტრი და უნდა ჰქონოდა თუ არა მას მყისიერი რეაქცია? – ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ლელოს“ წევრი, იურისტი **კახა კოჟორიძე** საუბრობს.

– პოლიციელის ამაზრზენი ქმედება უნდა გავიგოთ, როგორც ერთეული გადაცდომა პოლიციელის მხრიდან თუ ეს არის სისტემური პრობლემა პოლიციაში და ამ მხრივაც გვაქვს ბევრი გამოწვევა?

– კარგი შეკითხვაა. ჯერ ვიტყვი იმას, რომ ამ შემთხვევას რამდენიმე განზომილება აქვს: ერთია იურიდიული მხარე, მეორე ადამიანური და არის პოლიტიკური მხარეც. მოდი, ამ ეტაპზე პოლიტიკური მხარე გვერდზე გადავდოთ და ადამიანურ და იურიდიულ მხარეზე ვისაუბროთ. ადამიანურად უმძიმესი საყურებელი იყო – ფორმიანმა ადამიანმა, რომელმაც შეიძლება ქუჩაში, აქციაზე მყოფ ადამიანს უთხრას, რომ ჩემს ფორმას შეურაცხყოფას ნუ აყენებო, მაგრამ არა მგონია, რომ ვინმეს პოლიციის ფორმისა და მუნდირისთვის იმაზე მეტი ზიანი და შეურაცხყოფა მიეყენებინოს ან პოლიციის სისტემაში მომუშავე ადამიანებისთვის, ვიდრე თავად ის პოლიციელები აყენებენ, რომლებიც ასე არაადამიანურად იქცევიან და გადაუვლიან ხოლმე არა მხოლოდ იურიდიულ, არამედ მორალურ და ადამიანურ სტანდარტებს. ეს იყო ძალიან მძიმე სანახავი.

– აქ მნიშვნელოვანი მომენტიც არის – ვიცით, რომ პოლიტიკურ დაკვეთებს იღებენ პოლიციელები, რაც, რა თქმა უნდა, არ არის მოსაწონი, მაგრამ აქ ჩანს, რომ პოლიციელმა თვითნებურად გადაწყვიტა და ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს დაკვეთა ზემოდან მიეღო. ასე არ არის?

– კი, რა თქმა უნდა, გეთანხმებით. მე იმას ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ ხელისუფლებამ დაუკვეთა პოლიციელს, რომ ასე მოქცეოდა შშმ არასრულწლოვან პირს. მართლა არ ვფიქრობ ასე, მაგრამ თქვენ თავდაპირველ კითხვას რომ დავუბრუნდე, ეს არის სისტემური პრობლემის გამოძახილი თუ ინდივიდუალური შემთხვევაა, ამაზე ვიტყვი, რომ როდესაც ასეთი დიდი ამბები ხდება, მას ყოველთვის აქვს ხოლმე სისტემურობასთან კავშირი. რატომ ვამბობ ამას, იცით? – უნდა გავიხსენოთ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში არაერთი დარღვევა, რომელსაც პოლიციელები ჩადიან და მერე რჩება დაუსჯელი. ეს ხდება იმის გამო, რომ ხელისუფლებას არ სურს ხოლმე, რომ პოლიციელები, რომლებსაც შეასრულებინებ პოლიტიკურ დაკვეთას, არ უნდა, რომ კანონის შესაბამისად დასაჯოს მერე. სურს, რომ პოლიციას აჩვენოს მის მიმართ ლოიალური დამოკიდებულება, რათა ვიღაცა გავლენიანის ნებასა და სურვილებზე იყვნენ მუდმივად დამოკიდებულები პოლიციელები.

იმ შემთხვევებს, რომლებსაც ბოლო პერიოდში ვუყურებდით, სამართლებრივი რეაგირება რომ ჰქონოდა, სხვა რეალობა გვექნებოდა. ბოლო ყველაზე მძიმე შემთხვევები გვქონდა, როდესაც პოლიციელებმა საქართველოს კონსტიტუციის არაერთი მოთხოვნა დაარღვიეს 20 ივნისისა და 5 ივლისის მოვლენების დროს და ამას სამართლებრივი რეაგირება რომ მოჰყოლოდა, მერე სიფრთხილით მოეკიდებოდნენ საკუთარი მოვალეობის შესრულებას. მე არ ვამბობ, რომ პოლიციელებში სულ ასეთი პრობლემებია, ეს ასე არ არის – მე პირადად არაერთ ღირსეულ პოლიციელს ვიცნობ და უამრავი კეთილსინდისიერი პოლიციელია, რომელიც მუშაობს იმ შეგნებით, რომ ემსახურება საკუთარ სამშობლოს და ხალხს.

პოლიტიკურმა თანამდებობის პირებმა, იქნება ეს მინისტრი თუ სხვა, ვინც გადაწყვეტილებებს ღებულობენ, უნდა გაითვალისწინონ, რომ შეიძლება 10 პოლიციელი კარგად მოიქცეს და ერთი მოიქცეს ისე, როგორც მოიქცა გუშინწინ ის პოლიციელი, მაგრამ იმ ერთი პოლიციელის ცუდი საქციელი გამოჩნდება და ჩრდილს მიაყენებს იმ ათის კარგად გაკეთებულ საქმეს. ეს არის მნიშვნელოვანი, რომ მათ გაიაზრონ ეს, სხვა შემთხვევაში პოლიციის მისამართით საზოგადოების ნდობა ვერ იქნება. თუ ნდობა ვერ იქნება, მერე პოლიცია წარმატებული ვერც კრიმინალთან ბრძოლაში იქნება. ნდობა ის უმთავრესი იარაღი, რითაც პოლიცია უფრო ძლიერია, რომ კრიმინალს ებრძოლოს. სხვაგვარად სახელმწიფოებრივ ამოცანებს ვერ გაუმკლავდება. ეს არის ბანალური ჭეშმარიტება, რაც წერია სამართალდამცავ სისტემასთან დაკავშირებულ კვლევებში. თუ ასეთ შემთხვევებს არ მიეცა შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება, ეს ნდობა ვერ იქნება.

– მინისტრთან დაკავშირებითაც ჩნდება კითხვა. არ ვამბობ, რომ აუცილებლად მისი პასუხისმგებლობა უნდა დამდგარიყო, მაგრამ როცა ასეთი შემთხვევა ხდება, როგორც მინიმუმ, ბრიფინგი მაინც არ უნდა გაემართა მყისიერად და ბოდიში მოეხადა?

– რა თქმა უნდა, მინისტრი, როგორც უწყების სახე, თვითონ უნდა იყოს ჩართული ამ ამბავში. მე კიდევ ერთხელ გავიმეორებ და არ ვიკადრებ იმას ვთქვა, რომ მინისტრმა მისცა პოლიციელებს დავალება, რომ სცემონ შეზღუდული შესაძლებლობების პირებს. ეს არ იქნება სწორი, მაგრამ მინისტრის ხმა ძალიან მნიშვნელოვანია. ერთია, რა განცხადებას გააკეთებს სხვა პოლიტიკოსი, რაც ასევე მნიშვნელოვანია, მით უმეტეს, უმრავლესობის გავლენიანი დეპუტატების მხრიდან თუ იქნება სწორი მესიჯები, მაგრამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანია უწყების ხელმძღვანელის ხმა. უწყებას ის განაგებს და მინისტრი უნდა იყოს პოლიციელისთვის ავტორიტეტი. მას უნდა ჰქონდეს პირადი ნდობა. არის ხოლმე ასეც, როდესაც არის უწყების ხელმძღვანელის მიმართ მაღალი ნდობა, მერე ის უწყებაზეც ვრცელდება ხოლმე. მაგალითად, ასეთია სახალხო დამცველი. მას აქვს მაღალი ნდობა და მის საქმიანობას ადამიანები მაღალი პროფესიონალიზმით აფასებენ და მერე ეს ნდობა გადადის ინსტიტუციაზეც.

„პოლიციელის მუნდირს ისე არავინ შეურაცხყოფს, როგორც თავად პოლიციელები“

ამ შემთხვევაში მე არ ვამბობ, რომ მინისტრი უნდა გადამდგარიყო, მაგრამ ნამდვილად კარგი იქნებოდა, რომ მინისტრის პირადი ჩართულობა დაენახა ამ პროცესში. უნდა ეჩვენებინა, რომ შეწუხდა, გაემართა ბრიფინგი და ეთქვა, რომ ბოლომდე მიყვებიან საქმეს. კარგია, რომ დააკავეს ის პოლიციელი, მაგრამ ეს უნდა ეთქვა მინისტრს. ვისურვებდი, რომ ასეთი ტიპის საქმეებზე პირადი მონიტორინგი გააკეთოს მინისტრმა და ის იყოს პასუხისმგებელი პირი, რომ საქმე მივა ბოლომდე.

– სამოქალაქო კუთხით, რამდენად ვართ სათანადო დონეზე? მართალია რეაგირება დაიწყო და იყო პროტესტიც, მაგრამ იყო კი საკმარისი? 2 წლის წინ, აშშ-ში გვახსოვს პროცესები, რაც სწორედ პოლიციელის მხრიდან ძალის გადამეტებას მოჰყვა. ჩვენ ვართ ამ კუთხით სათანადო დონეზე?

– აქ უკვე არა მხოლოდ ეს კონკრეტული მძიმე შემთხვევაა, არამედ ბევრი სხვა შემთხვევაც. ერთობლიობა, სამწუხაროდ, დასკვნამდე მიგვიყვანს, რომ ჩვენ, როგორც საზოგადოება, ვერ ვართ მოწოდების სიმაღლეზე. კი, თითოეულ ჩვენგანს გვაქვს ჩვენი საქმე, მაგრამ როდესაც ხდება რაიმე განსაკუთრებული შემთხვევა და დიახ, ეს არის განსაკუთრებული შემთხვევა და აქ მნიშვნელოვანია ერთობლივი ხმის გაგონება. სამწუხაროდ, სათანადოდ ვერ ვხედავთ, რის ახსნასაც პროფესიონალების ანალიზი სჭირდება, კონკრეტულად იმას, რატომ არის ასე ნიჰილისტურად და უემოციოდ დარჩენილი ქართველი საზოგადოება.

შეიძლება კოვიდსაც მივაწეროთ, მაგრამ ეს, არა მგონია, ერთადერთი მიზეზი იყოს. კი, ადამიანები ამის გამოც არ იკრიბებიან ქუჩაში ერთად, რომ ვხედავთ მძიმე სტატისტიკას, თუმცა არ ვფიქრობ, რომ მარტო ეს მიზეზია. მოქალაქეებმა უნდა გაიგონ, რომ სიფხიზლეა აუცილებელი. ერთ ჩემ კოლეგას დავესესხები – თუ თვალს დახუჭავ დემოკრატიაში, შეიძლება გაიღვიძო დიქტატურაში. თუ ჩვენ არ ვიქნებით ფხიზლად, შეიძლება ძალიან მძიმე მომავალი დადგეს ქვეყნის წინაშე. საჭიროა რეაგირება და ეს არის ერთ-ერთი მექანიზმი იმისა, რომ მომავალში მსგავსი რამე არ მოხდეს. საერთოდ, ხელისუფლების მაღალჩინოსნები გადაწყვეტილებებს იღებენ ხოლმე იმის მიხედვით, თუ რა ტიპის რეაქცია აქვს საზოგადოებას. არ ვიტყვი, რომ რეაგირების გარეშე დატოვა საზოგადოებამ, იყო გარკვეული პროტესტი და ამის გამო მოხდა, რომ პოლიციელი დაკავებულია და დაწყებულია გამოძიება, ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე. მაგრამ, ვფიქრობ, რომ ამ სიტუაციაში უფრო მეტის მოთხოვნაც შეიძლება. უფრო ხმამაღალი პროტესტიც არის საჭირო.

გახარიას პარტია ღარიბაშვილს და გომელაურს პარლამენტში იბარებს

– მივესალმებით სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მყისიერ რეაგირებას, თუმცა ჩვენ ამ საკითხს განვიხილავთ შინაგან საქმეთა მინისტრის, პრემიერ-მინისტრის და ხელისუფლების პოლიტიკური პასუხისმგებლობის ჭრილში.

ამის შესახებ პარტია „საქართველოსთვის“ ერთ-ერთმა ლიდერმა, ნათია მეზვრიშვილმა განაცხადა, რითაც პოლიციელების მხრიდან არასრულწლოვან შშმ პირზე ძალადობის ფაქტს გამოეხმაურა.

როგორც მან აღნიშნა, მისი პარტია პარლამენტში იბარებს ირაკლი ღარიბაშვილს და ვახტანგ გომელაურს, რათა მათ შესაბამის კითხვებს პასუხი გასცენ.

– როგორც მოგეხსენებათ, 2018 წელს დავიწყეთ სისტემური განახლება სამართალდამცავ უწყებებში, რომლის მიზანი გახლდათ საპოლიციო საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესება და სწორედ ასეთი მძიმე დანაშაულების აღმოფხვრა. ამ მიზნით შევქმენით ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი და დაიწყო საგამოძიებო სისტემის რეფორმა, გამკაცრდა პოლიტიკა ძალადობის ჩამდენი პოლიციელების მიმართ და საფუძველი ჩაეყარა არასრულწლოვნებზე სპეციალიზებული დანაყოფის შექმნას სამართალდამცავ სისტემაში.

სამწუხაროდ, დღეს ეს ყველაფერი არის გაჩერებული, დეპარტამენტის გაძლიერება და მანდატის გაზრდა არ მომხდარა. საგამოძიებო სისტემის რეფორმა შეჩერდა და უფრო მეტიც, ძალადობის აღმკვეთი ერთადერთი სამსახური – სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური გაუქმებულია და შედეგი სახეზეა. ამიტომ ვიბარებთ ამ ადამიანებს პარლამენტში – შინაგან საქმეთა მინისტრს და პრემიერ-მინისტრს, რათა საზოგადოებას აუხსნან და შესაბამის კითხვებს პასუხი გასცენ. ამასთან დაკავშირებით ჩვენი საპარლამენტო გუნდი დეტალურად ისაუბრებს, – განაცხადა ნათია მეზვრიშვილმა.

თამარ გაბუნია: „ბუსტერი დამცველობის ეფექტს მნიშვნელოვნად ზრდის“

– ვაქცინაციის პროგრამა გრძელდება, თუმცა ჯერ-ჯერობით ისევ საჭიროა გააქტიურება.

ამის შესახებ ჯანდაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ თამარ გაბუნიამ უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებთან განაცხადა.

მისი შეფასებით, საკმაოდ კარგი ინიციატივაა 50 წელს ზემოთ პირების 100 ლარით წახალისება ბუსტერ დოზის გაკეთების შემთხვევაში, რადგან მინისტრის მოადგილის შეფასებით, კვლევებმა აჩვენა, რომ ბუსტერ დოზის გაკეთების შემთხვევაში დამცველობის ეფექტი მნიშვნელოვნად იზრდება.

– 8.000 იყო, დაახლოებით გუშინ ჩატარებული აცრების რაოდენობა. ძალიან კარგი ინიციატივაა 50 წელს ზემოთ 100-ლარიანი ფინანსური წახალისება „ბუსტერ“ დოზაზე. ჩვენი გამოცდილებით, ფინანსურმა წახალისებამ ყველაზე უკეთ იმუშავა 65 წელს ზემოთ პირებში და ვფიქრობთ, რომ ეს კიდევ უფრო მეტად დაგვეხმარება იმაში, რომ ვაქცინაციის პროგრამა გახდეს კიდევ უფრო აქტიური, რაც რეალურად არის ძალიან ეფექტური კვლევაც, რადგან ომიკრონის ფონზე, დამატებითი კვლევები და სხვადასხვა ქვეყნის მონაცემები ადასტურებენ, რომ უკვე ჩატარებული 2 დოზა იცავს ჰოსპიტალიზაციისა და გართულებებისგან, თუმცა ბუსტერ დოზა მნიშვნელოვნად ზრდის დამცველობით ეფექტს ინფიცირების თვალსაზრისით, ასევე ჰოსპიტალიზაციისა და გავრცელების თავიდან აცილების კუთხით, – განაცხადა გაბუნიამ.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკვერაშვილი
ვებგვერდი: **akhalitaoba.ge** ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ნაციონალების რამდენიმე ლიდერი ივანიშვილის უშიშროებასთან თანამშრომლობს“

კახა კუკავა: „ოცნებას“ ყველაფერზე პასუხი მოეთხოვება, მაგრამ ნაცმოძრაობა რომ აპროტესტებს თავისი მთავრობის მიერ მიწების გაყიდვას, ასეთ საპროტესტო აქციაზე ხალხი როგორ მივა?!

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს თავისუფალი საქართველოს ლიდერი კახა კუკავა პასუხობს.

– ბატონო კახა, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებს. ოპოზიციის მისამართით ბოლო პერიოდია ბევრი კრიტიკა გვესმის ოპოზიციის მისამართით. აღარც ნაციონალებთან უნდათ, მაგრამ ვერც გამოდიან მათი გავლენიდანო, რა ხდება?

– მე ამაზე დიდი ხანია ვსაუბრობ. თითქოს სხვებიც ცდილობენ, მაგრამ თან ოპოზიციური მედიის ეშინიათ. მე კი გეტყვით, რომ სანამ ოპოზიცია მიხეილ სააკაშვილის დღის წესრიგით მოქმედებს, მას საარჩევნო მშვიდობიანი პოლიტიკური ბრძოლით, წარმატების მიღწევის შანსი არა აქვს.

– ზოგიერთი ოპოზიციონერი მიხვდა და ცდილობს გამიჯვნასო, რატომ ვერ ბედავენ ბოლომდე, რისი ეშინიათ?

– ჯერჯერობით ეს პროცესი ძალიან ფრთხილ ხასიათს ატარებს, პირდაპირ ვერავინ ვერ ბედავს. ეგეთი განწყობები აქვთ ვიღაცებს, ხოშტარიას, ჯაფარიძეს, მაგრამ ამის თქმისგან ჯერჯერობით თავს იკავებენ. იმიტომ, რომ იგივე დაემართებათ, რაც ჩვენ გაგვიკეთეს. ეგრევე ამოშლიან და ამოშანთავენ ოპოზიციური არხებიდან. აი ამისი ეშინიათ. ძალიან ხშირად ვხვდებით ოპოზიციურ არხებზე ამომრჩევლის დამუნათებას. მიდის საათობით მსჯელობა, ხალხი ქუჩაში რატომ არ გამოდის, ხალხს რატომ პროტესტი არა აქვს. აი პასუხიც ეს არის. წაიკითხონ თქვენი გაზეთი. როდესაც შენ საუბრობ, რომ არ მომწონს ვიღაცა პოლიციელი, რომელმაც მეტროში შშმ პირს დაარტყა. ეს ნამდვილად არავის არ მოგვწონს, მაგრამ როდესაც ამის ალტერნატივა არის ვიღაც, ვინც 500 კაცი ჩაცხრილა რომელიღაც მშვიდობიან აქციაზე, რა თქმა უნდა, ხალხი ასეთ აქციაზე არ გამოვა. ძალიან ფიგურალურად ვამბობ, მაგრამ ყველაფერი აქამდე დაიყვანება. ოპოზიციური არხები აშუქებენ გორის რაიონში გაყიდული საძოვრების შესახებ და ამაზე აქციას აწყობს ნაციონალური მოძრაობა, აპროტესტებს გაყიდულ მიწებს, რომელიც გაყიდა ნაციონალური მოძრაობის დროინდელმა ხელისუფლებამ. რა თქმა უნდა, ეს ხელისუფლება არის კრიმინალი, 10 წელია უკვე ხელისუფლებაში არიან და შეეძლოთ, რომ ეს პრობლემა მოეგვარებინათ. ამის გამო პასუხი მოეთხოვება „ოცნებას“, მაგრამ ნაცმოძრაობა რომ აპროტესტებს თავისი მთავრობის მიერ მიწების გაყიდვას, ასეთ საპროტესტო აქციაზე ხალხი როგორ მივა?! დგანან და მერე ამ ყველაფერს ურცხვად აბრალებენ ხალხის გულგრილობას.

– თუ დავაკვირდებით, ამ საპროტესტო აქციების ინიციატორობას ყოველთვის ხელში იღებს ნაციონალური მოძრაობა, ეს თავიდანვე წაგებული თამაშია. სულ ჩნდება ეჭვი და კითხვები, რომ მიზანმიმართულად, ხელისუფლების წისქვილზე ხომ არ ასხამენ წყალს? „ოცნებასაც“ ხომ აწყობს, რომ ასეთი ოპოზიცია აპროტესტებდეს ყველაფერს?

– სხვათა შორის, ეს ვარაუდები გამოითქვა ჩემთან საუბრებში ფრთხილად ზოგიერთი ჩემი მეგობრის მიერ, რომელიც ან ახლა, ან წარსულში ნაციონალური მოძრაობის ორბიტაზე ტრიალებდა. მათ აქვთ ამის ეჭვი. მე ამ ადამიანების გვარებს, რა თქმა უნდა, ვერ დაგისახელებთ, მაგრამ ძალიან მაღალი რანგის ოპოზიციონერ ლიდერთან თუ მედია პროდიუსერთან დაკავშირებით, ამ ჩემს მეგობრებს აქვთ დიდი ეჭვი, რომ ისინი თანამშრომლობენ ივანიშვილის უშიშროებასთან. რასაც ახლა ჩვენ აქ განვიხილავთ, ეს გარკვეული სტრატეგიის ნაწილია.

– ნაცმოძრაობის ლიდერები თანამშრომლობენ ივანიშვილის უშიშროებასთან?

– ყველა არა, მათი ნაწილი, ის ვინც პოლიტიკურ ამინდს ქმნის. მიშას გულწრფელი მხარდამჭერების დაახლოებით 10-12% მართლა ჰყავს და როდესაც ისინი ამბობენ, რომ მიშა ღმერთია და მას გვერდით უნდა დავუდგეთ, ამას გულწრფელად აკეთებენ, მაგრამ ასეთი მხოლოდ 10-12%-ია. დანარჩენები?!

– სხვა პარტიებიც არ არიან დიდად მომგებიან სიტუაციაში. საუბარია, რომ ლელომ დაკარგა აქტუალობა, საერთოდ გაქრა პოლიტიკური ავანსცენიდან გახარია. თითქმის დაეშალა პარტიაო. რა ხდება, რა ვერ გათვალა გახარიამ?

– სხვათა შორის, ჩემი თანამოაზრე არანაირად არ არის, მაგრამ კომპეტენცია აქვს დავით ბერძენიშვილს და მან შენიშნა ერთი მომენტი, რომელიც მეც არაერთხელ მითქვამს, ყოფილი თანამდებობის პირის რეიტინგი და პოლიტიკური ლიდერის რეიტინგი, ეს არის ორი სხვადასხვა რამ. საქართველოში, როგორც პოსტკომუნისტურ ქვეყანაში, ყოფილი თანამდებობის პირებს ყოველთვის აქვთ რაღაცა რეიტინგი, გადადგომიდან ერთი წლის მანძილზე. ხოლო ეს რეიტინგი რომ გადაიზარდოს პოლიტიკური ლიდერის რეიტინგში, ამას სჭირდება დამატებით სხვა მოცემულობა. გახარიას ჰქონდა ძალიან მაღალი რეიტინგი, 20%-ზე მეტიც კი შარშან გაზაფხულზე, მაგრამ ეს იყო თანამდებობის პირის რეიტინგი და მან ეს ვერ აქცია პოლიტიკური ლიდერის რეიტინგად. გახარიას არ ჰქონდა სათანადო გამოცდილება, მისი გუნდის წევრები ძირითადად ყოფილი ჩინოვნიკები იყვნენ.

– რა ხდება „ქართულ ოცნებაში“? გაუშვებს ივანიშვილი ღარიბაშვილს? ამისთვის მწიფდება სიტუაციაო. რას იტყვით ამაზე?

– მე შემოგთავაზებთ მეორე ვერსიას, ამის ალტერნატიულს. შესაძლებელია საქართველოში მოხდეს იგივე, რაც მოხდა ყაზახეთში. ოღონდ არ ვგულისხმობ სისხლისღვრას. ღმერთმა დაგვიფაროს ამისგან.

– რას გულისხმობთ?

– ვგულისხმობ არაფორმალური ლიდერის, ფორმალური ლიდერით ჩანაცვლებას უცხო სახელმწიფოს მხარდაჭერით. დღეს ამის ნიშნები უკვე იკვეთება, რომ შესაძლოა ივანიშვილი ჩაანაცვლოს ღარიბაშვილმა, იმიტომ, რომ ღარიბაშვილი აშკარად ბოლო თვეების მანძილზე პოპულისტურ ნაბიჯებს მიმართავს, იგივე ვაქცინაციასთან და მედიკამენტების გაიაფებასთან დაკავშირებით. თუ დააკვირდებით, ბოლო თვეების მანძილზე, მას ერთხელაც არ უხსენებია ბატონი ბიძინა. ჩვენ ხომ გვახსოვს ღარიბაშვილი, რომელიც ყოველ მეორე სიტყვაში მადლობას ეუბნებოდა ბიძინა ივანიშვილს. გამოდის, აცხადებს, რომ მედიკამენტებს ვაიაფებთო და ერთხელაც არ უხსენებია, რომ ეს ბატონი ბიძინას დამსახურებაა. ეს არავის გენიშნათ?! თუკი ყაზახეთში მოხდა, რომ ტოკაევმა ჩაანაცვლა ნაზარბაევი და ეს ყველასთვის დაუჯერებელი იქნებოდა ადრე, რატომ არ შეიძლება იგივე მოხდეს საქართველოში?!

– რომ ივანიშვილი ოფიციალურად ჩაანაცვლოს ღარიბაშვილმა?

– დიახ, ასეთი კონტურები იკვეთება. საქართველოშიც არის ყაზახეთის მსგავსი რამდენიმე გარემოება. პირველი, ივანიშვილი ყველას ყელში ყავს ამოსული, მათ შორის, საკუთარ გუნდშიც. მეორე – რუსეთი ითხოვს საქართველოსგან ოფიციალურად კურსის ცვლილებას, ღიას და საჯაროს. ივანიშვილი კი ამაზე ვერ თანხმდება, მაგრამ თუ ამაზე დათანხმდა ღარიბაშვილი, მას ექნება ისეთივე მხარდაჭერა, როგორც ტოკაევმა მიიღო პუტინისაგან. გარკვეული წინაპირობები ამისთვის საქართველოშიც არის და არ გამოვრიცხავ, რომ ამ სცენარით მოვლენები განვითარდეს. ახლა რა ვითარებაც არის, ქვეყანა ამ ვითარებაში დიდხანს ვერ დარჩება. ვართ ქვეყანა, რომელსაც ოფიციალურად კონსტიტუციაში უწერია ნატოში ინტეგრაცია და ამ დროს ვხედავთ სიტუაციას, როცა ყოველდღიურად უღრენენ ევროპარლამენტარებს, ამერიკას და დასავლელ პარტნიორებს. ერთხელ და საბოლოოდ უნდა გადაწყდეს – ან იქით, ან აქეთ. ამ ვითარებაში ვერ დავრჩებით. დღეს მომწიფდა სიტუაცია საქართველოში, რომ ივანიშვილი ყველას ყელში ყავს ამოსული, ის ნელ-ნელა დატოვებს ავანსცენას. გავიგე, ივანიშვილი ხარ თუ ვიღაც ოხერი და ისიც ვიცი, რომ წლები თეატრის მსახიობებს 500-500 ლარს ურიცხავდი, მაგრამ რა ვქნათ ახლა, 27-ე საუკუნემდე ივანიშვილის მონებად გამოვაცხადოთ თავი მთელმა ქვეყანამ?! იყავი ერთი ვადა, არაფერი გამოგივიდა, იყავი ორი ვადა, არაფერი გამოგივიდა, მესამე ვადაა და ქვეყანა იქცევა, წადი, რა!

გიგა ბოკერია: „ივანიშვილის რეჟიმი სამართალდამცავ ორგანოებზეც ახდენს გავლენას“

– ივანიშვილის რეჟიმის მიერ შექმნილ მძიმე კლიმატში თუ ადამიანი მიდრეკილია ძალადობისკენ, მაშინ შეიძლება მივიღოთ მძიმე შედეგი.

ამის შესახებ „ევროპული საქართველოს“ თავმჯდომარემ, გიგა ბოკერიამ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა.

მისი თქმით, ქვეყანაში არსებული პოლიტიკური და საზოგადოებრივი კლიმატი, რომელიც მისი თქმით, ძალადობას ახალისებს, ყველაზე ახდენს გავლენას.

– მიუხედავად იმისა, რომ მე ამ პოლიციელების საქციელს არ განვაზოგადებ მთლიანად საქართველოს პოლიციაზე, ფაქტია, რომ ქვეყანაში არსებული პოლიტიკური და საზოგადოებრივი კლიმატი, რომელიც ივანიშვილმა და მისმა რეჟიმმა ძალადობის წახალისებით, დაუსჯელობით, მოძალადეების პირდაპირ კულტივაციით ქვეყნის შიგნით შექმნა, გავლენას ახდენს ყველაზე.

ბუნებრივია, ამას გავლენა აქვს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებზეც. თუ ადამიანი მიდრეკილია ძალადობისკენ, მაშინ შეიძლება მივიღოთ ასეთი მძიმე შედეგი, – განაცხადა ბოკერიამ.

ზურაბ ჯაფარიძე 1.000 ლარით დააჯარიმეს

გირჩი – მეტი თავისუფლების ლიდერი ზურაბ ჯაფარიძე ამბობს, რომ ქონებრივი დეკლარაციის არშევსების გამო 1.000 ლარით დააჯარიმეს.

„ჯერ შენ ვინ გეკითხება, პარლამენტში უნდა იყოო. მერე, ოკ, არ გინდა და ნუ გინდაო. მერე, სანამ არ გიშვებდით და ფორმალურად აქ იყავი, იქნებ ფული გააკეთე, დეკლარაცია გვანახეო. ახლა, რადგან არ გვანახე, 1.000 ლარი გადაიხადე და ისე გვანახე, თორემ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიგცემთო. ამ სისხლის სამართლის საქმის ბოლო მანდატის გაუქმებაა, რომელიც ისედაც აღარ მაქვს“ – წერს ჯაფარიძე ფეისბუქში.

ზურაბ ჯაფარიძეს მანდატი გასული წლის 16 ნოემბერს შეუწყვიტეს. მის ნაცვლად, დეპუტატის მანდატი ჰერმან საბომ მიიღო.

მანამდე ჯაფარიძემ მანდატის შეწყვეტის მოთხოვნით პარლამენტს კიდევ ორჯერ მიმართა. პირველად 2020 წელს, მეორედ კი 2021 წელს, მას შემდეგ, რაც „ქართულმა ოცნებამ“ შარლ მიშელის დოკუმენტის ანულირების შესახებ განაცხადა.

50 წელზე უფროსების კოვიდ ვაქცინით აცრაზე 200-ლარიანი წახალისება თებერვალშიც გაგრძელდება

ამავე ასაკობრივი ჯგუფის პირები ბუსტერით აცრის შემთხვევაში 100 ლარს მიიღებენ

– 50 წლის ასაკის ზემოთ კოვიდსაწინააღმდეგო ვაქცინით აცრაზე 200-ლარიანი წახალისება თებერვლის განმავლობაშიც გაგრძელდება, ამავე ასაკობრივი ჯგუფის პირები ე.წ. ბუსტერ დოზით აცრის შემთხვევაში 100 ლარს მიიღებენ.

აღნიშნული გადაწყვეტილება უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე მიიღეს, რომელიც პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით, მთავრობის ადმინისტრაციაში გაიმართა.

საბჭოს სხდომაზე განიხილეს ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური ვითარება. აღინიშნა, რომ ინფიცირების მზარდი მაჩვენებლების მიუხედავად, ჰოსპიტალური სექტორის დატვირთვის მაჩვენებელი არ იზრდება, რაც ომიკრონის შტამის საკმაოდ სუსტ მიმდინარეობაზე მიუთითებს. თუმცა, სპეციალისტების შეფასებით, საფრთხე მაინც მაღალია, განსაკუთრებით მაღალ ასაკობრივ ჯგუფებსა და ქრონიკული დაავადებების მქონე პირებში, ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ვაქცინაციას და ორჯერადად ვაქცინირებული პირების ე.წ. ბუსტერ დოზით აცრას.

პრემიერ-მინისტრის დავალებით, ჯანდაცვის სამინისტრო განაგრძობს აქტიურ მუშაობას ქვეყნის მასშტაბით, ვაქცინაზე გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის მაქსიმალურად გაზრდის მიზნით.

უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო კიდევ ერთხელ მოუწოდებს მოქალაქეებს, ატარონ პირბადე, დაიცვან სოციალური დისტანცია და თავი აარიდონ ხალხმრავალ შეკრებებს, ხოლო ვირუსის სიმპტომების გამოვლენის შემთხვევაში, დარჩნენ სახლში.

ამასთან, იზრდება ონლაინ-კლინიკების რესურსები, რათა მსუბუქმა პაციენტებმა, რომლებიც ბინაზე მკურნალობენ, ოჯახის ექიმების კონსულტაცია შეუფერხებლად მიიღონ.

საქართველოში კორონავირუსის პირველი შემთხვევის გამოვლენიდან დღემდე, ვირუსით ინფიცირების 1.075.154 ლაბორატორიულად დადასტურებული შემთხვევა გამოვლინდა, საიდანაც 972.745 პირი გამოჯანმრთელდა, გარდაცვლილია 14.774 ადამიანი.

ამ ეტაპზე კლინიკურ სასტუმროებში იმყოფება 2.064 მოქალაქე, ხოლო სტაციონარში, მეთვალყურეობის ქვეშ – 4.595 პირი.

პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით მოქმედი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მუშაობაში აქტიურად მონაწილეობენ საქართველოს პარლამენტი და პრეზიდენტის ადმინისტრაცია.

შევიძენ
ძველ ანტიკვარულ ნივთებს,
ნახატ სურათებს,
ძველ წიგნებს და ფაიფურს.
ტელ.: 598-43-98-57

„დასავლეთის ერთიანობას შეუძლია აღკვეთოს რუსეთის შეჭრა უკრაინაში“

რუსეთს მიაჩნია, რომ დასავლეთი დაძაბულობის კერებს რუსეთის მთელ პერიმეტრზე ქმნის

მარიამ მჭედლიშვილი

უკრაინის კრიზისი საქართველოს პოლიტიკური სპექტრისა და ექსპერტების მთავარი განსახილველი თემა გახდა. პარლამენტში მოსალოდნელია ამ საკითხზე რეზოლუციის მიღება, რაც ადრე უნდა მომხდარიყო, მაგრამ დაყოვნდა. საპარლამენტო ოპოზიციის ნაწილი მოუწოდებს მმართველ პარტიას, ერთად ჩავიდნენ კიევში. უკრაინაში ვიზიტისკენ ზოგიერთი პარტია პრემიერ ღარიბაშვილსაც მოუწოდებს. ამის პარალელურად სხვა ოპოზიცია ააქტიურებს საქართველოს ნეიტრალიტეტის თემას. უკრაინის საკითხისადმი მიდგომაში ქართულ პოლიტელიტაში ქაოსი შეინიშნება. ევროპასა და მთლიანად მსოფლიოში მიმდინარე მოვლენები იმის მომასწავებელია, რომ ახლო მომავალში საქართველოში მოხდება პოზიციების დაკონკრეტება.

როგორც ცნობილია, ნატო არ გამორიცხავს აღმოსავლეთში თავისი ყოფნის გაძლიერებას და დამატებითი საბრძოლო ჯგუფების განთავსებას.

უკიდურესი დაძაბულობისა და რუსეთ-უკრაინის ომისათვის მზადების მიუხედავად, დასავლეთში გამოითქმის იმედი, რომ ომი არ იქნება. ამგვარ რწმენას გამოთქვამს ანგელა მერკელის ყოფილი მრჩეველი კრისტოფ ჰოისგენი, რომელიც თებერვალში გახდება მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციის მეთაური.

იგი აცხადებს, რომ დასავლეთმა რუსეთს მისცა სიგნალი, რომ ის ერთიანია, ამას კი შეუძლია აღკვეთოს რუსეთის შეჭრა უკრაინაში:

– იმედია, შესაძლებელი იქნება უკრაინაში რუსეთის შეჭრის თავიდან აცილება. ამის წინაპირობაა ერთიანი დასავლეთი. რუსეთის მიერ წამოყენებული მოთხოვნები არარეალისტურია. დღეს მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ, საერთაშორისო საზოგადოებამ, მოვახდინოთ ძლიერი და მკაფიო რეაგირება, გავაგზავნოთ სწორი სიგნალი. ეს უკვე ხდება.

ჰოისგენი იხსენებს პუტინის სიტყვებს იმაზე, რომ საბჭოთა კავშირის დაშლა გეოპოლიტიკური შეცდომა იყო და ამბობს, რომ პუტინს დემოკრატიის გზაზე დამდგარი უკრაინა აფრთხობს. მას არ სურს, რომ მოსკოვის მოსახლეობა კიევისასა შენატროდეს და ამბობდეს, რომ კიევში ცხოვრება უკეთესია.

მათ შორის, ვინც დარწმუნებულია, რომ კრემლი დიდ ომს ვერ გაუმკლავდება, არის პოლონეთის ყოფილი თავდაცვის მინისტრი რომუალდ შერემეტევი. მისი თქმით, რუსეთი წონის საკუთარ შესაძლებლობებს. მას ესმის, რომ სერიოზულ კონფლიქტს და ომს ვერ დაძლევს. ამასთან, პოლონელი ექსმაღალჩინოსანი და პროფესორი არ გამორიცხავს სიტუაციის კონტროლიდან გასვლას და კონფლიქტის თავისით აფეთქებას.

პოლონელი ექსმინისტრი მიიჩნევს, რომ რუსეთმა გადაწყვიტა იმოძრაოს დასავლეთის მიმართულებით, გახლიჩოს დასავლეთი და მოიძიოს ის ხვრელები, სადაც მხარს დაუჭერენ რუსეთის ინტერესებს.

ბევრი ამერიკელი მიმომხილველი აკრიტიკებს ჯო ბაიდენს კრემლის მიმართ დამთმობი პოლიტიკის გატარებაში. არიან ისეთებიც, რომელიც თეთრი სახლის ლიდერს საბრძოლო ავანტიურაში ჩაბმის გამო საყვედურობენ. „ვაშინგტონ თაიმის“ ექსპერტის აზრით, აშშ-ის ხელისუფლება ქვეყანას ახალ უცხოურ ავანტიურაში ითრევს. მისი აზრით, ვაშინგტონის ისტებლიშმენტი მზადაა, ამას შესწიროს ამერიკელი ჯარისკაცების სიცოცხლე. ავტორის აზრით, უკრაინის საქმეებში ჩარევა უადგილოა. არავის მოსვლია თავში, მოეწოდებინა აშშ-თვის დახმარებოდა ირლანდიას ინგლისისაგან დამოუკიდებლობის მოპოვებაში ან შენარჩუნებაში. მით უმეტეს, ამერიკელები არ არიან უკრაინელები, – ასკვნის მიმომხილველი.

რუსეთს თავისი არარეალისტური მოთხოვნები უკან არ მიაქვს. ამასთან, მოსკოვს დასავლეთის მოახლოება აფრთხობს. რუსი ექსპერტი ალექსეი მუხინი აცხადებს, რომ დასავლეთს განზრახული აქვს დაძაბულობის კერების შექმნა რუსეთის მთელ პერიმეტრზე. მისი გათვლით, ძალადობის მომდევნო ესკალაცია უკრაინის შემდეგ მოსალოდნელია მოლდოვაში. რუსი ექსპერტი დარწმუნებულია, რომ დასავლეთი აპირებს რაკეტების განლაგებას უკრაინის ტერიტორიაზე.

– მთელი ამ პროპაგანდისტული კამპანიის მთავარი მიზანია უკრაინის სამხედრო ინფრასტრუქტურით აღჭურვა, შემდეგ კი ამის შეთანხმებით გამაგრება. ამას მისცემენ „პასუხის“ ფორმას რუსეთის მოთხოვნებზე უსაფრთხოების თაობაზე. რუსეთის გვერდით შექმნიან ალიანსის ბაზებს. ეს არის ის, რაც რუსეთს მიუღებლად მიაჩნია, – აღნიშნავს მუხინი.

რუსი ექსპერტის შფოთვა ადასტურებს, რომ რუსეთი, რომელსაც ოკუპირებული აქვს საქართველოს, უკრაინის, მოლდოვას ტერიტორიები, სახარბიელო მდგომარეობაში არ იმყოფება, დასავლეთის გახლეჩა კი ვერ მოხერხდა.

აშშ-ის ელჩი: „ვამაყობთ, რომ დავიმსახურეთ ქართველი ხალხის ნდობა და მეგობრობა“

საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი კელი დეგნანი საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობების 30 წლისთავთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს.

„წელს ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო თბილისში, საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობების, პარტნიორობისა და მეგობრობის 30 წლისთავს აღნიშნავს. ამბიციური გეგმა გვაქვს, რომ მთელი წლის განმავლობაში აღვნიშნოთ ჩვენი მრავალმხრივი პარტნიორობის ყველა ასპექტი.

30 წლის წინ, მოსკოვის თითქმის ორასწლიანი ბატონობის შემდეგ, საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა. ამ რთულ წლებს ქართველმა ხალხმა მედგრად გაუძლო და მრავალი სირთულე გადალახა, რათა ჩამოეყალიბებინა თანამედროვე და დემოკრატიული სახელმწიფო, რომელიც აგებულია მისი ევროპული ისტორიის საფუძველზე, კოლხეთისა და დასავლური ცივილიზაციის დაბადებიდან მოყოლებული. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან, ამერიკელი ხალხი სოლიდარულია ქართველი ხალხის სურვილისა, ჰქონდეთ თავისუფალი და სუვერენული ქვეყანა.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა პირველი დიპლომატიური წარმომადგენლობა ჯერ კიდევ 1890 წელს დააარსა ბათუმში, ხოლო ჩვენი განახლებული პარტნიორობა, ოფიციალურად, პრეზიდენტ ჯორჯ ჰ.უ. ბუშის მმართველობის დროს დაიწყო საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებით 1991 წლის 25 დეკემბერს, რასაც მოჰყვა ოფიციალური დიპლომატიური კავშირების დამყარება 1992 წლის 24 მარტს, და ერთ თვეზე ნაკლებ დროში ჩვენი საელჩოს გახსნა „შერატონ მეტეხი პალასში“. მომდევნო წელს საელჩო ორბელიანის სასახლეში გადავიდა, სანამ საბოლოოდ საელჩოს ახალ შენობაში, დიღომში გადაინაცვლებდა.

მას შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატები და საქართველო სტრატეგიულ პარტნიორებად ჩამოყალიბდნენ, რომლებიც ერთობლივად მუშაობენ საერთო ხედვისკენ, რაც საქართველოს ევრო-ატლანტიკურ ერთა ოჯახში სრულ ინტეგრაციასა და ერთიანი, თავისუფალი და მშვიდობიანი ევროპის წევრობას გულისხმობს.

ამ ხედვის განხორციელება დიდ შრომას, მოთმინებასა და მნიშვნელოვან რესურსებს მოითხოვს. წლების განმავლობაში აშშ-მა, სხვა სახის მხარდაჭერასთან ერთად, საქართველოს დასახმარებლად თითქმის 6 მილიარდი დოლარი გამოყო. ჩვენ მოხარულები ვართ, რომ მხარი დავუჭირეთ მრავალ წარმატებულ ინიციატივას ქართველ პარტნიორებთან ერთად, რომელთა მტკიცე სურვილია, რომ ამ ქვეყანამ თავის სრულ პოტენციალს მიაღწიოს, როგორც ძლიერმა და დამოუკიდებელმა დემოკრატიამ.

ვამაყობთ, რომ ჩვენი 30-წლიანი თანამშრომლობის შედეგად, დავიმსახურეთ ქართველი ხალხის ნდობა და მეგობრობა. არსებობს ნდობისა და პატივისცემის ღრმა რეზერვი, რომელიც განვითარდა ბოლო 30 წლის განმავლობაში, ვუწევდით რა მეგზურობას საქართველოს გარდაქმნების რთულ გზაზე. ეს ნდობა და პატივისცემა ჩვენთვის ძვირფასია. შეერთებულ შტატებს უდიდესი ინტერესი აქვს, რომ საქართველომ თავისი ტრანსატლანტიკურ მიზნებს მიაღწიოს.

საქართველომ განავითარა ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება და ბევრი წარმატებული ბიზნესი, რომლებსაც სურთ ერთობლივი პარტნიორული მუშაობა. ასევე, არსებობს აშშ-ის მიერ დაფინანსებული გაცვლითი პროგრამების 6000-ზე მეტი კურსდამთავრებულის ქსელი. ისინი თითქმის ყველა სექტორში მუშაობენ და ყველაზე ერთგულ და დინამიურ ადამიანებს შორის არიან, ვისაც აქ შევხვედრილვარ. ისინი საზღვარგარეთ მიღებულ უნარებსა და გამოცდილებას საქართველოს გამოწვევებზე სამუშაოდ იყენებენ.

ქართველებმა გამოსცადეს საბჭოთა ზეწოლა ქართულ ენაზე და ეკლესიის ნგრევა. თქვენ ნახეთ, როგორ ატერორებდნენ „კანონიერი ქურდები“ ჩვეულებრივ მოქალაქეებს და ძირავდნენ ქვეყანას უკანონობაში. თქვენ გინახავთ ომი, ბრძოლა, პოლიტიკური არეულობა, რევოლუცია, მაგრამ ასევე ძალაუფლების მშვიდობიანი გადაცემა. ეს არის რეალური პროგრესი. განხორციელდა მრავალი მნიშვნელოვანი რეფორმა, არის მოწოდებები კიდევ ბევრისკენ, რათა შენარჩუნდეს მუხტი საქართველოს უნიკალური კულტურის, რწმენისა და ტრადიციების მყარ საძირკველზე თანამედროვე, აყვავებული, ინკლუზიური ქვეყნის მშენებლობისთვის. მთელი ამ მღელვარე პერიოდის განმავლობაში, შეერთებული შტატები მხარს უჭერდა ქართველ ხალხს.

30 წელი. ეს ხანგრძლივი დროა, მაგრამ ამავდროულად მხოლოდ დასაწყისია. შეერთებული შტატები პირობას დებს, რომ მომავალი წლების განმავლობაში იდგება ქართველი ხალხის გვერდით, რათა მხარი დაუჭიროს ჩვენს საერთო ღირებულებებს და გააძლიეროს მათ დასაცავად აუცილებელი ინსტიტუტები. ჩვენ გვინდა გავაგრძელოთ ერთობლივი მუშაობა საქართველოს ეკონომიკის სტიმულირებისა და დივერსიფიკაციისთვის, რათა შეიქმნას უკეთესი სამუშაო ადგილები და მეტი შესაძლებლობები ქართველებისთვის. ჩვენ შეგვიძლია გადავხედოთ 30-წლიან ერთობლივი მუშაობის შესანიშნავ პროგრესს. მოუთმენლად ველით საქართველოს მიღწევების აღნიშვნას, როგორც მეგობრები და სტრატეგიული პარტნიორები კიდევ მრავალი წლის განმავლობაში. საქართველოს წარმატება, როგორც აყვავებული, უსაფრთხო, ძლიერი დემოკრატიისა, ჩვენს ორივე ქვეყანას აძლიერებს“ – ნათქვამია კელი დეგნანის განცხადებაში.

დეკემბერში სახელმწიფო საგარეო ვალი წლიურად 670.177 მლნ დოლარით გაიზარდა

ერთ წელიწადში საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი 670.177 მლნ დოლარით, წინა თვესთან შედარებით კი 350.216 მლნ დოლარით გაიზარდა.

ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით, 2021 წლის დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალმა 8.205 მლრდ დოლარს, დღევანდელი კურსით 25.416 მლრდ ლარს გადააჭარბა. 2020 წლის დეკემბრის მდგომარეობით კი, ვალის მოცულობა 7.535 მლრდ დოლარი ანუ მაშინდელი კურსით 24.689 მლრდ ლარი იყო. რაც შეეხება მიმდინარე წლის ნოემბრის მონაცემებს, საგარეო ვალი 7.855 მლრდ დოლარს ანუ მაშინდელი კურსით 24.246 მლრდ ლარს შეადგენდა.

საქართველოს სახელმწიფოს ყველაზე მსხვილი კრედიტორები არიან: აზიის განვითარების ბანკი; მსოფლიო ბანკის განვითარების საერთაშორისო ასოციაცია და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი.

მსოფლიო ბანკის მიმართ ვალი 830.936 მლნ დოლარია; იბიარდის მიმართ სახელმწიფოს საგარეო ვალი 1.209 მლრდ დოლარს, აზიის განვითარების ბანკის მიმართ კი – 1.887 მლრდ დოლარს აჭარბებს.

„თქვენი შრომის 40.66% მიდის ბიუჯეტში“

„თქვენი შრომის 40.66% მიდის ბიუჯეტში. ახლა იმაზე დაფიქრდით – თქვენი შრომის 40.66%-ს როგორ ხარჯავენ“ – ამის შესახებ „ფეისბუქის“ პირად გვერდზე ეკონომისტი ოთო აბესაძე წერს.

მის პოსტს უცვლელად გთავაზობთ:

– მარტივ და ადამიანურ ენაზე ავხსნათ თუ როგორ არის რიგითი ადამიანი ხელისუფლების ეკონომიკური წყარო.

დავიწყოთ ოფიციალური მონაცემების განხილვით. საქართველოში საშუალო ხელფასი არის 1 328 ლარი. აქედან 20%-ს სახელმწიფო გაჭრით საშემოსავლო გადასახადის სახით და ხელზე იღებთ 1062 ლარს და 40 თეთრს.

ნუ გგონიათ, რომ თქვენი და სახელმწიფოს ურთიერთობა ამით სრულდება.

თქვენ ყოველდღიურად ყიდულობთ პურს, რომელიც ღირს 1.2 ლარი. აქედან აქციზის გადასახადს 18%-ს იხდით თქვენ (მყიდველები). შესაბამისად, ყოველი 1 პურიდან 21.6 თეთრი მიდის ბიუჯეტში, ხოლო 0.98 თეთრი მიდის მწარმოებელთან.

ესეა აბსოლუტურად ყველა შემთხვევაში. თქვენ როდესაც მოგინდებათ პური, შაურმა, შოკოლადი, ჰამბურგერი, ახალი ტანსაცმელი და უამრავი რამ, სახელმწიფო ამ სურვილისთვის ჯამში „გსჯით“ 18%-ით.

განსხვავებული ვითარებაა საწვავის შემთხვევაში, სადაც ზემოხსენებულ დღგ-ს 18%-ს ემატება აქციზის გადასახადი. დღევანდელი რეალობიდან რომ ამოვიდეთ (საწვავის ფასი საშუალოდ 3 ლარი) ერთი ლიტრი საწვავიდან 90 თეთრი შედის ბიუჯეტში აქციზი+დღგ.

უფრო რომ გავამარტივოთ: თუ თქვენ: დაგერიცხათ ხელფასი 1 328 ლარი.

საწვავს იხმართ თვეში 150 ლიტრს (450 ლარი);

პური, სურსათი და ა.შ. იყენებთ საშუალოდ 400 ლარს;

საშუალოდ 100 ლარს იხდით კომუნალურ სერვისებში;

50 ლარს მოიხმართ მობილური ინტერნეტი, სალაპარაკო და ა.შ.;

60 ლარს ხარჯავთ მედიკამენტებში.

რეალურად სახელმწიფო თქვენგან იღებს:

ხელფასიდან საშემოსავლო გადასახადი 20% ანუ 296 ლარს;

საწვავიდან 135 ლარს;

პური, სურსათი და ა.შ. 72 ლარს;

კომუნალურებიდან 18 ლარს;

მობილური/ინტერნეტი 9 ლარს;

მედიკამენტებიდან 10.8 ლარს.

ჯამში, საშუალო სტატისტიკური ქართველისგან, რომელიც ოფიციალური „საქსტატის“ მონაცემებით თვეში გამოიმუშავებს 1 328 ლარს, სახელმწიფოს მიაქვს 540 ლარი. სიგიჟეა ხომ? არა, რეალობაა! თქვენი შრომის 40.66% მიდის ბიუჯეტში. ახლა იმაზე დაფიქრდით, თქვენი შრომის 40.66%-ს როგორ ხარჯავენ.

ისნის მეტროში ყრუ-მუნჯ მამაკაცზე ძალადობისთვის 2 პოლიციელი დააკავეს



მედიასაშუალებებით გავრცელებულ ვიდეოჩანაწერზე აღბეჭდილი ძალადობის ფაქტზე შინაგან საქმეთა სამინისტროს ორი თანამშრომელი დააკავეს.

ამის შესახებ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილემ გიორგი გამეზარდაშვილმა გუშინ, 25 იანვარს, გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

კერძოდ, დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობის ბრალდებით დაკავებულია შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მეტროპოლიტენის სამმართველოს მე-3 ოცეულის პატრულ-ინსპექტორი ნ.ბ., ხოლო სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ბრალდებით დაკავებულია ამავე სამმართველოს მე-3 ოცეულის პატრულ-ინსპექტორი კ.ბ.

– როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, 2022 წლის 24 იანვარს, მედიასაშუალებით გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში დაუყოვნებლივ დაიწყო გამოძიება. გამოძიების დაწყების შემდგომ, ინტენსიურ რეჟიმში ჩატარდა საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები: დათვალიერდა შემთხვევის ადგილი; გამოიკითხნენ მოწმეები, მათ შორის, ფსიქოლოგის თანდასწრებით გამოიკითხა პირი, რომლის მიმართაც განხორციელდა ძალადობა; გამოთხოვილი იქნა გამოძიებისთვის საინტერესო ვიდეოჩანაწერები; ამოღებული იქნა ერთ-ერთი დაკავებულის მობილური ტელეფონი; დაინიშნა ექსპერტიზები.

ამ ეტაპზე ჩატარებული საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებებით დადგენილია შემდეგი:

2022 წლის 23 იანვარს, საღამოს საათებში, დაახლოებით 20:00 საათიდან 21:00 საათამდე დროის მონაკვეთში, 17 წლის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე არასრულწლოვანი, ძმასთან და მეგობრებთან ერთად იმყოფებოდა მეტროსადგურ „ისანში“. მეტროს ესკალატორთან მყოფმა პატრულ-ინსპექტორმა კ.ბ.-მ არასრულწლოვანი ესკალატორით აიყვანა მეტროს ფოიეში, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებისთვის განკუთვნილ ოთახში. აღნიშნულ ოთახში მყოფმა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ერთმა თანამშრომელმა არასრულწლოვანს რამდენჯერმე დაარტყა მუშტი თავის არეში და მოქაჩა თმაში.

მიუხედავად არასრულწლოვნის მინიშნებისა, რომ იგი იყო სმენადაქვეითებული და არ ესმოდა საუბარი, პოლიციის თანამშრომელი აგრძელებდა გამეტებით მის ცემას. ძალადობის ფაქტს შეესწრნენ არასრულწლოვნის თანმხლები პირებიც. აღნიშნული ქმედებით არასრულწლოვანმა მიიღო დაზიანებები თავისა და სახის არეში, განიცადა ძლიერი ფიზიკური ტკივილი და თავი იგრძნო დამცირებულად. საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მეორე თანამშრომელმა, რომელიც შეესწრო მისი კოლეგის მხრიდან არასრულწლოვნის მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტს, არ შეატყობინა აღნიშნულის შესახებ საგამოძიებო ორგანოს – სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ ძალადობის განმახორციელებელი საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მეტროპოლიტენის სამმართველოს მე-3 ოცეულის პატრულ-ინსპექტორი ნ.ბ. დაკავებული იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1443 მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „ბ“, და „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის ბრალდებით, რაც გულისხმობს დამამცირებელ და არაადამიანურ მოპყრობას ჩადენილს მოხელის მიერ, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნისა და სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირის მიმართ; ხოლო, ფაქტის შემსწრე საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მეორე თანამშრომელი, მეტროპოლიტენის სამმართველოს მე-3 ოცეულის პატრულ-ინსპექტორი კ.ბ. დაკავებული იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ბრალდებით, რაც გულისხმობს სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას.

სისხლის სამართლის საქმეზე გრძელდება გამოძიება და ჩასატარებელია არაერთი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება. მომავალში მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე, შეესაძლებელია დაზუსტდეს საქმის გარემოებები და დანაშაულის კვალიფიკაცია.

გამოძიების დაწყებისთანავე, შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ აქტიურად ითანამშრომლა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურთან. მოვუწოდებთ საზოგადოების თითოეულ წევრს, მათ შორის ჟურნალისტებს, ვინაიდან საქმე ეხება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე არასრულწლოვნის მიმართ ჩადენილ დანაშაულს, გთხოვთ, საკითხის გაშუქებას და ამ ფაქტზე აზრის გამოთქმას, მოვეკიდოთ განსაკუთრებული სიფრთხილით, – განაცხადა გიორგი გამეზარდაშვილმა.

„ტვ პირველმა“ გაარკვია შშმ პირზე ძალადობაში ბრალდებული სამართალდამცველების ვინაობა. დაკავებულები არიან ნუკრი ბაქრაძე და კახა ბაკაშვილი.

„პირველების“ მიერ მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მეტროპოლიტენის სამმართველოს მე-3 ოცეულის პატრულ-ინსპექტორი ნუკრი ბაქრაძეა ის პირი, ვინც ახალგაზრდას თავში გამეტებით ურტყამს. მას ბრალი წამების და დამამცირებელი მოპყრობის ფაქტზე წაუყენეს.

რაც შეეხება მეორე პოლიციელს, მე-3 ოცეულის პატრულ-ინსპექტორ კახა ბაკაშვილს, რომელიც კოლეგის მიერ ჩადენილ სასტიკ დანაშაულს მდუმარედ უყურებდა, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ბრალდებით გაასამართლებენ.

ნუკრი ბაქრაძის მეზობლები მომხდარის გამო შოკირებულები არიან – მათი თქმით, ბაქრაძე შსს-ში 20 წელია მუშაობს. რაც შეეხება ბაკაშვილს, მის საცხოვრებელ სახლში არავინ იმყოფებოდა.

❖ ❖ ❖

გუშინ, 25 იანვარს, ნაცემ არასრულწლოვან შშმ პირს ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროში სამედიცინო ექსპერტიზა ჩაუტარდა.

მოზარდი ბიუროში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის გამომძიებლებმა გადაიყვანეს.

ნაცემი არასრულწლოვნის სამედიცინო ექსპერტიზას ესწრებოდნენ მისი საზოგადოებრივი ადვოკატი, დედა და ასევე თარჯიმანი.

საქმეში ჩაერთო ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაც.

– ექსპერტიზის მიმდინარეობასთან და საქმის დეტალებთან დაკავშირებით ვერაფერს მოგახსენებთ დასაცავი პირის ინტერესებიდან გამომდინარე, მას დეტალებზე საუბარი არ სურს. რაც შეეხება ჩემი ჩართვის მიზეზს, ვინაიდან ის არასრულწლოვანია, სახელმწიფოს ხარჯზე დაენიშნა მას ადვოკატი და მაქსიმალურს გავაკეთებთ იმისთვის, რომ მისი ინტერესები იყოს დაცული. საქმის მასალები არ მიმიღია, დამატებით ვერაფერს გეტყვით, – განაცხადა არასრულწლოვნის ადვოკატმა ლედი კორძაძემ.

„დედამ 12 წლის ქალიშვილი აიძულა, რომ ბაბუისთვის გაუპატიურება დაებრალებინა“

ექსპერტიზამ მამაკაცის უდანაშაულობა დაამტკიცა

12 წლის ბავშვის საქმე თავდაყირა დგება. ბაბუა, რომელსაც შვილიშვილის გაუპატიურებას აბრალებდნენ, უდანაშაულოა.

სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის დასკვნამ პროკურატურის ბრალდება გააქარწყლა. დოკუმენტებით, რომლებიც „პირველების“ ხელშია, დგინდება, რომ გაუპატიურებას ადგილი არ ჰქონია.

კომპლექსური შემოწმება არასრულწლოვანთან ერთად 53 წლის ბრალდებულსაც ჩაუტარდა.

მთელი 4 თვე მთავარი საგამოძიებო უწყება ამტკიცებდა, რომ ბაბუამ შვილიშვილი 120-ჯერ გააუპატიურა. ერთ-ერთი მთავარი მტკიცებულება ამ საქმეში რძლის ჩვენებაა, რომელიც, შესაძლოა, განსასჯელის სკამზე თავად აღმოჩნდეს.

მან გამოძიებას ცრუ ჩვენება მისცა და, სავარაუდოდ, სწორედ მან აიძულა შვილი, რომ ბაბუისთვის უმძიმესი დანაშაული დაებრალებინა.

ბავშვის მამას ეჭვი აქვს, რომ შვილი იარაღად გამოიყენა დედამ, რომელმაც არასრულწლოვანი აიძულა, ცრუ ჩვენება მიეცა. მიზეზი ქალსა და მისი ქმრის ოჯახს შორის არსებული კონფლიქტია, რომელიც უკვე წლებია, გრძელდება.

ექსპერტიზის დასკვნის გამოქვეყნების შემდეგ ბავშვის დედა კომენტარს აღარ აკეთებს. მისი ადვოკატი ამტკიცებს, რომ ბავშვის ინტერესების მოტივით საქმის გარემოებაზე არ საუბრობს, იურისტს არ სურს განმარტოს, ვისი ზეწოლით მისცა სკოლის მოსწავლემ ჩვენება საკუთარი ბაბუის წინააღმდეგ.

დაკავებულის ადვოკატი კი ამბობს, რომ პირველი დღიდან პროკურატურამ იცრუა და 53 წლის შშმ პირი ციხეში უსაფუძვლოდ გამოკეტა, ამიტომ ახლა ადვოკატი მის დაუყოვნებლივ გათავისუფლებას მოითხოვს და აცხადებს, რომ პროკურორრის და მოსამართლის ამ გადაწყვეტილებას აუცილებლად გაასაჩივრებს.

53 წლის მამაკაცი შვილიშვილის გაუპატიურების ბრალდებით 12 ოქტომბერს დააკავეს. პროკურატურამ მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა, 141-ე მუხლით, 11 პრიმა, 138-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით 11 პრიმა, 137-ე მუხლის მესამე ნაწილის „ე“, მეოთხე ნაწილის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით და 11 პრიმა, 139-ე მუხლის მესამე ნაწილის „ე“ და მეოთხე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით წარუდგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 15-დან 20 წლამდე, ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

უმძიმესი ამბავი ყველაზე მძიმე 12 წლის გოგონასთვის აღმოჩნდა, რომლის ფსიქოლოგიური მდგომარეობა ახლა მძიმეა, მასთან ამ დრომდე ფსიქოლოგები მუშაობენ.

53 წლის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბაბუა ამ დრომდე წინასწარ პატიმრობაში რჩება.

ლონდა თოლორაიამ საკონსტიტუციო სასამართლოში პარლამენტს უჩივლა

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ხელმძღვანელმა ლონდა თოლორაიამ საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური სარჩელით მიმართა.

როგორც მის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, გასაჩივრდა საქართველოს პარლამენტის მიერ „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში შესული იმ ცვლილებების (იმ ნორმების) კონსტიტუციურობის საკითხი, რომლებიც განსაზღვრავს სახელმწიფო ინსპექტორისთვის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტას, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გაუქმების სანაცვლოდ ორი ახალი სამსახურის შექმნას.

„კონსტიტუციური სარჩელით საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველ პუნქტთან („საქართველოს ყოველ მოქალაქეს აქვს უფლება დაიკავოს ნებისმიერი საჯარო თანამდებობა, თუ იგი აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. საჯარო სამსახურის პირობები განისაზღვრება კანონით“) მიმართებით გასაჩივრდა საქართველოს პარლამენტის მიერ „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში შესული იმ ცვლილებების (იმ ნორმების) კონსტიტუციურობის საკითხი, რომლებიც განსაზღვრავს სახელმწიფო ინსპექტორისთვის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტას, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გაუქმების სანაცვლოდ ორი ახალი სამსახურის შექმნას და სამსახურის გაყოფის თანამდევ შედეგებს, მათ შორის, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გაუქმების საფუძველზე შექმნილი უწყებების ხელმძღვანელების არჩევას.

ვფიქრობ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო იტყვის თავის სათქმელს დამოუკიდებელი ინსტიტუტებისა და ყველა არჩევითი თანამდებობის სტაბილურობის, უსაფუძვლოდ მათი თანამდებობიდან გათავისუფლებისგან დაცვის კონსტიტუციური უფლების უზრუნველსაყოფად.

სახელმწიფო ინსპექტორის წარმომადგენელი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში იქნება საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და მისი ძალიან კვალიფიციური იურისტები. მადლობა მათ მხარდაჭერისა და სამსახურის ინტერესების დაცვისთვის!“ – ნათქვამია ლონდა თოლორაიას განცხადებაში.

აჭარის პოლიციის უფროსი ავთანდილ გალდავა მოხსნეს

შინაგან საქმეთა სამინისტროში საკადრო ცვლილებებია. აჭარის პოლიციის სამმართველოს უფროსი ავთანდილ გალდავა კადრების განყოფილებაში გადაიყვანეს.

გალდავას ადგილას გრიგოლ ბესელია დაიკავებს.

40 წლის პოლკოვნიკი გრიგოლ ბესელია მანამდე ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს უფროსი იყო.

რაც შეეხება გალდავას, მის სახელს უკავშირდება ბადრი ესებუას საქმე.

სწორედ ის ხელმძღვანელობდა 2020 წლის 21 ოქტომბერს ზუგდიდში „საქართველოს ბანკზე“ მიმდინარე სპეცოპერაციას. იგი მაშინ სამხარეო პოლიციის უფროსი იყო.

როდესაც თავდამსხმელმა შენობა მძევლებთან ერთად დატოვა, მათ შორის ერთ-ერთი სწორედ ავთანდილ გალდავა იყო, რომელიც ესებუას სხვა მძევლების გათავისუფლების სანაცვლოდ ჩაბარდა.

ასევე, სწორედ მან მიუტანა ბადრი ესებუას ნახევარი მილიონი დოლარი.

ბადრი ესებუა დღემდე იძებნება.

ნატა ფერაძე დააკავეს

გუშინ, 25 იანვარს, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, სადაც აქცია იმართებოდა, სამოქალაქო აქტივისტი ნატა ფერაძე დააკავეს.

მან ადგილზე სტიკერების გაკვრა სცადა, თუმცა სამართალდამცველებმა ამის შესაძლებლობა არ მისცეს.

სტიკერებზე დაწერილი იყო იმ ადამიანთა სახელები, რომლებიც სისტემის მსხვერპლი გახდნენ, საუბარია დემურ სტურუაზე, ლევან აბზიანიძეზე, ლუკა სირაძეზე, ლექსო ლაშქარავაზე.

სამოქალაქო აქტივისტი შუშანა მაცაბერიძე კი ამბობს, რომ აქციაზე სამართალდამცველები ძალადობდნენ და დაზიანებებს აყენებდნენ აქტივისტებს.

გომელაურის უწყებასთან მივიდნენ შშმ პირების მშობლები, რომლებიც მინისტრთან შეხვედრას მოითხოვდნენ.

მზია მამრიკიშვილმა ქუთაისში პროკურატურასთან მაკრატლით ხელი დაისერა

ხმაური იყო ქუთაისის პროკურატურასთან, სადაც მოქალაქემ თვითმკვლელობა სცადა – ქალმა მაკრატლით ხელი დაისერა.

მზია მამრიკიშვილი მჯდომარე აქციას პროკურატურის მისაღებში მართავდა და თაროზე შემოდებული საქმის გამოძიებას ითხოვდა.

ქალის მტკიცებით, ღამით ის შენობიდან პოლიციელებმა ძალით გამოათრიეს, რის გამოც პროტესტის უკიდურეს ფორმას მიმართა.

მზია მამრიკიშვილის მტკიცებით, წლების წინ, სუს-ის თანამშრომელმა, უსაფრთხოების სამსახურის უფროსმა, სოფიო სურგულაძემ მისი კუთვნილი 1 კილომდე ოქრო მოტყუებით მიითვისა, თუმცა გავლენიანი მფარველების გამო, ქალს ამ დრომდე არ აკავებენ.

– მითვისებული აქვს ჩემი კუთვნილი ოქრო, დაწყობილი აქვს ყალბი დოკუმენტები, მაწერდნენ 36.000 ლარს და 7.700 დოლარს. ეს ხდებოდა მისი ოჯახის ჩართულობით. მამამისი განაგებს კრიმინალურ სამყაროს, ეს სუსის შენობაში ზის და განაგებს კერძო დაცვას. ხელში უჭირავს, პროკურატურა, სასამართლო, სამმართველო.

მე პროკურატურაში მოვედი, ეს ჩემი უფლებაა, რომ მოვითხოვო საქმის ძიება და ბოლომდე მიყვანა.

ღამის 12 საათი იყო, 10-მდე ადამიანი შემოვარდა, როდესაც პატარა მაკრატლით დაზიანებები მივიყენე. ამის შემდეგ გარეთ გამომათრიეს და აქ დამაგდეს. ბოლოს სასწრაფომ გადამიყვანა „ევექსის“ კლინიკაში, – განაცხადა მზია მამრიკიშვილმა.

იმერეთში უაქციზო სიგარეტი სამედიცინო ტრანსპორტით გადაზიდეს

განსაკუთრებით დიდი ოდენობით უაქციზო სიგარეტის შენახვა-გადაზიდვის ფაქტზე ფინანსურმა პოლიციამ ორი მოქალაქე დააკავა.

უკანონო ქმედება იმერეთის რეგიონში დააფიქსირეს.

გამოძიების ინფორმაციით, ბრალდებულებმა უაქციზო სიგარეტი, მისი რეალიზაციის მიზნით, ერთ-ერთი სამედიცინო დაწესებულების კუთვნილი ტრანსპორტით გადაზიდეს.

„საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ამოღებულია 27.540 კოლოფი უაქციზო სიგარეტი, რომლის საბაზრო ღირებულება 121.000 ლარს აღემატება.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-200 მუხლის მე-3 ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6-დან 8 წლამდე ვადით“ – აცხადებენ უწყებაში.

„უკრაინის ნატოში მიღების ზუსტი ვადები განსაზღვრეთ“

რადამ დასავლეთს მიმართა

უკრაინის უმაღლესმა რადამ საერთაშორისო ორგანიზაციებსა და უცხო ქვეყნების პარლამენტებს მოუწოდა, უკრაინის ნატო-ში გაწევრიანების კონკრეტული ვადები განსაზღვრონ.

გადაწყვეტილებას მხარი 282-მა დეპუტატმა დაუჭირა.

„უკრაინის უმაღლესი რადა მიმართავს გაეროს, ევროპარლამენტს, უცხო ქვეყნების მთავრობებსა და პარლამენტებს და საერთაშორისო ორგანიზაციების საპარლამენტო ასამბლეებს და მოუწოდებს: მხარი დაუჭირონ უკრაინის მისწრაფებებს და ჩვენი ქვეყნის ნატო-ში ინტეგრაციის კონკრეტული ვადების განსაზღვრას“ – ნათქვამია მიმართვის ტექსტში.

უმაღლეს რადაში აცხადებენ, რომ ნატო-ში გაწევრიანების კურსი უკრაინის კონსტიტუციით არის გათვალისწინებული. განცხადების ავტორები მიუთითებენ უახლეს სოციოლოგიურ კვლევებზე, რომლის მიხედვითაც უკრაინელების აბსოლუტური უმრავლესობა მხარს უჭერს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანებას.

მიმართვაში ასევე აღნიშნულია, რომ 2008 წელს ბუქარესტის ნატოს სამიტის გადაწყვეტილება, რომელიც დადასტურდა 2021 წელს ბრიუსელის ნატოს სამიტზე, ითვალისწინებს უკრაინის ალიანსში გაწევრიანების პერსპექტივას.

„ფაიზერმა“ და „ბიონტექმა“ ომიკრონის ვაქცინის კლინიკური ცდა დაიწყეს

კომპანიებმა „ფაიზერმა“ და „ბიონტექმა“ კორონავირუსის ომიკრონ შტამზე გათვლილი ვაქცინის კლინიკური ცდა დაიწყეს.

კომპანიები გეგმავენ ვაქცინაციის შედეგად მიღებული იმუნური პასუხის გამოცდას ვაქცინის სამი დოზით არავაქცინირებულ პირებში და მესამე, ბუსტერ დოზით იმ პირებში, რომლებსაც ვაქცინის ორი დოზა უკვე მიღებული აქვთ.

– მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე კვლევები და რეალურ სამყაროში არსებული მონაცემები აჩვენებს, რომ ბუსტერ დოზა კვლავ უზრუნველყოფს დაცვის მაღალ დონეს ომიკრონით გამოწვეული მძიმე დაავადებისა და ჰოსპიტალიზაციისგან, ვაცნობიერებთ, რომ მზად უნდა ვიყოთ იმ შემთხვევისთვის, თუ ეს დაცვა დროთა განმავლობაში შემცირდება, – განაცხადა „ფაიზერის“ ვაქცინების კვლევისა და განვითარების ხელმძღვანელმა, კატრინ იანსენმა.

კლინიკურ ცდაში მონაწილეობას 1.400-ზე მეტი ადამიანი მიიღებს.



ბაიდენმა ჟურნალისტს მოუბოდიშა

აშშ-ის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა ფოქს ნიუსის ჟურნალისტს, პიტერ დუსის, რომლის მიმართაც ჩართულ მიკროფონში უხამსი სიტყვები წარმოთქვა, დაურეკა და მოუბოდიშა.

– დაახლოებით ერთ საათში მობილურ ტელეფონზე დამირეკა და მითხრა: „არაფერი პირადული, მეგობარო“ – განაცხადა ჟურნალისტმა.

შემთხვევა 24 იანვარს თეთრ სახლში მოხდა, როდესაც პიტერ დუსმა ჯო ბაიდენს ინფლაციასთან დაკავშირებით კითხვა დაუსვა.

– ინფლაციაზე კითხვას უპასუხებთ? ფიქრობთ თუ არა, რომ ინფლაცია არის პოლიტიკური პასუხისმგებლობა შუალედური არჩევნების წინ? – ჰკითხა ჟურნალისტმა ჯო ბაიდენს.

– ეს დიდი აქტივია-მეტი ინფლაცია. სულელი ნაბიჭვარი, – თქვა ჟურნალისტის პასუხად ბაიდენმა.

ათენში თოვლმა პრობლემები შექმნა

მოამზადა ნიკა თევზაძემ

გუშინ, 25 იანვარს, საბერძნეთის დედაქალაქ ათენში დიდთოვლობის გამო საჰაერო მიმოსვლა და სახმელეთო ტრანსპორტის მოძრაობა შეფერხდა, ასობით მძღოლი ავტომაგისტრალზე ჩარჩა.

სამაშველო ჯგუფები მძღოლების დახმარებას ცდილობდნენ.

ადგილობრივ მედიაში ვრცელდება კადრები, სადაც ჩანს, რომ ჯარისკაცებს მძღოლებისთვის საკვები, წყალი და თბილი პლედები მიაქვთ. თხუთმეტი მგზავრი დაშავდა საბერძნეთის ცენტრალურ ნაწილში, როდესაც სარკინიგზო სატრანსპორტო მანქანამ თოვლში ჩარჩენილი მატარებლის გაყვანა სცადა, რომელშიც დაახლოებით 200 მგზავრი იმყოფებოდა. ადგილობრივი სამართალდამცავების განცხადებით, ორი დაშავებულის მდგომარეობა მძიმეა.

დიდთოვლობის გამო დედაქალაქში მატარებლებისა და ავტობუსების მოძრაობა შეჩერდა. კუნძულ ევიაზე კოვიდ 19-ის ვაქცინაციის ცენტრები დაიხურა, არ მუშაობდნენ სკოლები, არააუცილებელი პროდუქციის მაღაზიები და ბანკები.

ბერძნულმა გადამზიდავმა ეგან ეირლაინზმა თითქმის ყველა რეისი გააუქმა.

70 წლის მამაკაცი ათ ბაიკერს მარტო ეჩხუბა

იაპონიის აიტის პრეფექტურის ქალაქ ჰეკინანის მცხოვრები ხანდაზმული მამაკაცი მარტო ეჩხუბა ათ ბაიკერს და შედეგად პოლიციამ ის ხალხზე თავდასხმისა და სატრანსპორტო საშუალების სახიფათოდ მართვის ბრალდებით დააკავა.

სატრანსპორტო კომპანიის 70 წლის პრეზიდენტი კაძუხარუ ოკამოტო ქალაქ ჰანდას მახლობლად ათი მოტოციკლისგან შემდგარ კოლონას მიუყვებოდა ავტომობილით. მამაკაცი იმან გააბრაზა, რომ მოტოციკლისტები თავისუფლად გადაადგილებაში ხელს უშლიდნენ. ის თანდათან მათ ძალიან მიუახლოვდა. შედეგად მოტოციკლისტებმა გაჩერება ვერ შეძლეს ავარიული სიტუაციის შეუქმნელად.

ავტომობილის მძღოლის ასეთმა ქცევამ ბაიკერები გააღიზიანა და მათ თავიანთი უკმაყოფილება ოკამოტოს მიმართ არც დამალეს. ხანდაზმულ იაპონელსა და ბაიკერებს შორის ჩხუბი გაჩაღდა. შედეგად ოკამოტომ სახის ძვლების მოტეხილობა მიიღო, ასევე დაზიანდა რამდენიმე მოტოციკლისტიც.

მეორე დღეს ოთხი ბაიკერი იქნა დაპატიმრებული. მათ თავის მხრივ განაცხადეს, რომ ჩხუბის წამომწყები ავტომობილის მძღოლი იყო. ამის შემდეგ დააკავეს თავად ოკამოტოც. როგორც გაირკვა, მან თავში ჩაარტყა 48 წლის მოტოციკლისტ ქალს, რომელმაც, მიუხედავად იმისა, რომ თავზე ჩაფხუტი ეხურა, მაინც მიიღო მსუბუქი დაზიანება.

მოგვიანებით პოლიციელებმა ოკამოტოს ავტომობილში დაყენებული ვიდეორეგისტრატორის ჩანაწერი ნახეს და მას დამატებითი ბრალდება წაუყენეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე მისვლით. კეთდება მხოლოდ იტალიური და იაპონური მოსახსნელი კბილის პროთეზები. გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

მამაკაცი მოკვლის შიშით 67 წელია ბანაობაზე უარს ამბობს

ირანელმა იმის შიშით, რომ მოკლავდნენ ან უბედურება შეემთხვეოდა, 67 წელი ბანაობაზე უარს ამბობდა.

87 წლის ამუ ხაჯი ქოხში ცხოვრობს, იკვებები მძორით: ძირითადად ავტომობილების ბორბლებქვეშ დაღუპული ცხოველების უმი ხორცით და სვამს წვიმის წყალს. მისი საყვარელი საქმე ჩიბუხის გაბოლებაა, რომელსაც ცხოველების ნაკელით ტენის. ცხოვრების ასეთი უჩვეულო წესის გამო, მას არ ჰყავს მეგობრები და ოჯახი. თუმცა მისმა ერთგულებამ არჩეული ცხოვრების წესის მიმართ, ისეთი დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ადგილობრივებზე, რომ საცხოვრებლად ქოხი აჩუქეს. მანამდე მის საცხოვრებელს უბრალო ორმო წარმოადგენდა.

ექიმებმა გადაწყვიტეს, ირანელი მოინახულონ და შეამოწმონ, თუ როგორ მოქმედებას მასზე ჰიგიენის არქონა და არასტანდარტული რაციონი. გამოკვლევის დროს ექიმებმა გაოცებულებმა შენიშნეს, რომ ხაჯიმ მოახერხა თავიდან აერიდებინა მძიმე დაავადებები, უფრო მეტიც, მის სხეულზე ვერ აღმოაჩინეს პარაზიტები. ერთადერთი, რაც ირანელს აწუხებდა, ტრიხინელეზია (პარაზიტული დაავადება, რომელსაც თან ახლავს ციებ-ცხელება, ოფლისდენა და შიდა ორგანოების დაზიანება).

ახალი სამუშაოს გამო ათასობით კილომეტრგავლილი მამაკაცი გარეგნობის გამო გაათავისუფლეს

ავსტრალიაში მამაკაცმა სამი ათასი კილომეტრი გაიარა ახალი სამუშაოსთვის და გარეგნობის გამო გაათავისუფლეს. დამქირავებელმა ის მეტისმეტად მსუქნად ჩათვალა.

საშობაო დღესასწაულების დროს ოჯახური წყვილი ჰამიშ და ჰეიზელ გრიფინები თავიანთ რვა წლის შვილ ფრედისთან ერთად კვინსლენდიდან ტასმანიაზე გადასახლდნენ იქ ახალი ცხოვრების დასაწყებად. ჰამიშმა ადგილობრივ სასტუმროში მენეჯერის სამსახური იშოვა. მან რამდენიმე წინასწარი გასაუბრება გაიარა ვიდეოკავშირის გამოყენებით, ასევე, დამქირავებელს საკუთარი ფოტოსურათები გადაუგზავნა.

ტასმანიაზე გადასვლის შემდეგ გრიფინი სამსახურში გავიდა, თუმცა მუშაობის დაწყებიდან ორ საათში მას შეატყობინეს, რომ სამსახურიდან გაათავისუფლეს.

– მითხრეს, ამ სამუშაოს იმის გამო ვერ შევასრულებდი, რომ მეტისმეტად მსუქანი ვიყავი. ვერ შევძლებდი ბალახის საკრეჭ მანქანას მიეწოლოდი ან კიბეზე ავსულიყავი, – აღნიშნა ჰამიშმა. მან ასევე დაამატა, რომ მისი თანამდებობა არ ითვალისწინებდა სასტუმროს ტერიტორიის მომსახურებას, მაგრამ მას ესმოდა, რომ ზოგჯერ, პერსონალის ნაკლებობის გამო, მისი დახმარება საჭირო გამხდარიყო.

ამ ყველაფრის შემდეგ ოჯახმა ახალ სახლში მხოლოდ ერთი ღამე გაათია, დილით კი ბარგი ჩაალაგეს და გაემგზავრნენ. ახლა ჰამიშს ახალი სამსახურის მოძებნა მოუწევს. მან კონსულტაციისთვის იურიდიულ სამსახურს მიმართა იმის გასარკვევად, მასთან მიმართებაში ადგილი ხომ არ ქონია კონტრაქტის და დისკრიმინაციის კანონების დარღვევას.

სპორტი

პეკინის ოლიმპიადის მონაწილეებს ოთხი ტესტის გაკეთება მოუწევთ

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (სოკ) პრესსამსახურის ცნობით, სპორტსმენები და გუნდის წევრები, რომლებმაც პეკინის ზამთრის ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე კორონავირუსი გადაიტანეს, პეკინში გაფრენამდე 5 დღით ადრე 4 უარყოფითი პასუხის მქონე პსრ ტესტი უნდა ჩააბარონ.

სოკ-ის ცნობით, წესები იმისთვის გადაიხედა, რათა სპორტსმენებს და გუნდის წევრებს, რომლებმაც კორონავირუსი გადაიტანეს და რომელთა აღდგენითმა ვადამ შეიძლება გავლენა იქონიოს ჩინეთში გამგზავრებაზე. 4 პსრ ტესტი უნდა ჩააბარონ გაფრენამდე 120 საათის განმავლობაში და თითოეულზე მიიღონ უარყოფითი პასუხი.

სოკ-ის პრესსამსახური წერს:

– ყველა ტესტი აკრედიტებულ ლაბორატორიაში უნდა ჩატარდეს, მაგრამ გაფრენამდე 72 საათით ადრე აღებული ტესტი ჩინეთის ადგილობრივი საელჩოს ან საკონსულოს მიერ აღიარებულ ლაბორატორიაში უნდა გაკეთდეს.

შევჩენკო პოლონეთის ნაკრებს გაწვრთნის

უკრაინელი სპეციალისტი ანდრეი შევჩენკო პოლონეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი გახდება. მხარეებს შორის მოლაპარაკება მიმდინარეობს, შესათანხმებელი დარჩა ჯენოასთან კონტრაქტის გაწყვეტის დეტალები. შეგახსენებთ, რომ იტალიურ კლუბში ორთვიანი მუშაობის შემდეგ შევჩენკო არასახარბიელო შედეგების გამო გაათავისუფლეს და ახლა მხოლოდ ფორმალური საკითხებია დარჩენილი.

45 წლის შევჩენკო, რომელიც პოლონეთში პაულო სოუზას შეცვლის, წლიურად 2,5 მილიონ ევროს მიიღებს. ხელფასის ნაწილს პოლონეთის ფეხბურთის ფედერაცია გადაიხდის, ნაწილსაც სპონსორები აიღებენ საკუთარ თავზე.

პოლონეთის ეროვნულ გუნდს მარტში უმნიშვნელოვანესი მატჩები აქვს ჩასატარებელი – მსოფლიოს ჩემპიონატზე გასამგზავრებელ პლეიოფში რუსეთის ნაკრებს უნდა დაუპირისპირდეს.

აქვე ერთი პატარა საფეხბურთო ისტორიაც: პოსტსაბჭოთა სივრცის ალბათ ყველაზე დასამახსოვრებელ მატჩში, ევრო 2000-ის შესარჩევში, რუსეთს, ბოლო წუთებზე, სწორედ შევჩენკომ გაუტანა ცნობილი ჯარიმა, როცა ფილიმონოვის შეცდომით ისარგებლა და რუსეთი ჯგუფში დატოვა.

იმ თამაშში, რომელიც 1:1 დასრულდა, რუსებიდან თავი ვალერი კარპინმა გამოიჩინა, რომელიც ამჟამად მათი მთავარი მწვრთნელია.

შედეგები

24 იანვარი

ფეხბურთი

ინგლისი. ჩემპიონიგა

ბლექბერნი-მიდლსბრო 1:0

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ალმერია-ეიბარი 0:2

სოსიედადი-კარტახენა 1:2

საფრანგეთი. ლიგა 2

კაენი-აიაჩო 2:0

საბერძნეთი. სუპერლიგა

ასტერასი-აპოლონი 1:0

ჩოგბურთი

ავსტრალიის ღია პირველობა

ჯაჭვები

შაპოვალოვი-ნადალი 3:6, 4:6, 6:4, 6:3, 3:6

ქალები

კრეიჩიკოვა-კიზი 3:6,2:6

ბარტი-პეგულა 6:2,6:0

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ბითაძე შანსს კარგად იყენებს



საქართველოს ნაკრების ცენტრმა გოგა ბითაძემ ინდიანა პეისერსის სასტარტო ხუთეულში მორიგი მატჩი ითამაშა. მისმა გუნდმა კი სტუმრად ნიუ ორლეანი პელიკანსთან დაძაბულ ბრძოლაში 113:117 დათმო.

პეისერსს ისევ აკლდა წინა ხაზის ორი ლიდერი – დომანტას საბონისი და მაილს ტერნერი. თუმცა, ჩვენებურმა დაამტკიცა, რომ მათი შეცვლა შეუძლია და მეტი სათამაშო დრო ეკუთვნის, ვიდრე მათი მოედანზე ყოფნის დროს აქვს.

ნიუ ორლეანელებთან ქართველმა ცენტრმა 22 წუთი ითამაშა. აღბათ უფრო მეტი დრო მიეცემოდა, 11 წუთში 4 პერსონალური ჯარიმა რომ არ მიეღო. თუმცა, გადამწყვეტ, მე-4 მეოთხედში ინდიანელთა მწვრთნელი რიკ კარლაილი სრულად ენდო და ბოლომდე დატოვა მოედანზე.

ბითაძემ 12 ქულა, 5 მოხსნა და 3 პასი მოაგროვა. მის პასივში კი, 5 ფოლი და 3 დაკარგვაა. ბითაძემ 6 ორქულიანი და 6 საჯარიმო ისროლა და 4-4 ჩააგდო.

ინდიანას 17 მოგება და 31 მარცხი აქვს. ეს, აღმოსავლეთ კონფერენციაში მე-13 შედეგია. პეისერსი მომდევნო მატჩს ჰორნეტსთან ჩაატარებს.

ARაბიძე ქუთაისის ტორპედოში ითამაშებს



ახალი სეზონისთვის მზადებას აგრძელებს ქუთაისის ტორპედო. თუმცა, რიონისპირულ გუნდში სიახლე კიდევ ის არის, რომ ტორპედომ გიორგი არაბიძის ტრანსფერი გამოისყიდა და უახლოეს პერიოდში ოფიციალურად წარადგენს. 23 წლის შემტევის ტრანსფერი პორტუგალიურ ნასიონალს ეკუთვნოდა.

გავრცელებული ინფორმაციით, პორტუგალიელები 400.000 ევროს ითხოვდნენ. თუმცა, კონტრაქტი 2022 წლის ზაფხულში უმთავრდებოდათ, რითიც ისარგებლა ქართულმა მხარემ და თანხა გაანახევრა. სხვა შემთხვევაში ნასიონალი ზაფხულში ცენტსაც ვერ აიღებდა.

არაბიძის პირველი უცხოური კლუბი დონეცკის შახტარი იყო, სადაც თბილისის ლოკომოტივიდან გადავიდა. ნასიონალის გარდა, განათხოვრების წესით, რუსულ როტორში, თურქულ ადანასპორსა და სამტრედიაში თამაშიც მოასწრო.

არაბიძის და ქუთაისური გუნდის ინტერესი მას შემდეგ გაჩნდა, რაც ტორპედოს მწვრთნელად გია ცეცაძე დაინიშნა, რომელთანაც ფეხბურთელი გასულ სეზონში სამტრედიაში თამაშობდა.

გიორგიმ გასულ სეზონში სამტრედიას მაისურით 15 შეხვედრა ჩაატარა და 3 გოლი და 1 საგოლე პასი მიითვალა. საქართველოს ნაკრებში არაბიძეს 4 თამაშში 3 გოლი აქვს გატანილი, თუმცა ეროვნულ გუნდში ბოლოს 2017 წელს ითამაშა.

შეგახსენებთ, რომ ახალი სეზონის წინ ტორპედო უკვე გაძლიერდა კიდევ ერთი სანაკრებო გამოცდილების მქონე გიორგი პაპუნაშვილით. ტორპედოში დაბრუნდნენ – გიორგი ქიმაძე, გიორგი კუხიანიძე და დინო ჰამზიჩი. და ცეცაძისთვის ასევე კარგად ნაცნობი ფეხბურთელები – ლაშა შერგელაშვილი, ნიკა სანდოხაძე, გიული მანჯგალაძე, ირაკლი ბუღრიძე და აკაკი შულაია. ყველა მათგანი საქართველოს ჩემპიონატში საკმაოდ მოთხოვნადი ფეხბურთელია.

ტორპედო თურქულ შეკრებას 10 იანვრიდან გადის. შეკრება ორი ეტაპისგან შედგება. პირველ ეტაპზე მოსამზადებელი პროცესი მხოლოდ ფიზიკური კონდიციების გაუმჯობესებას დაეთობა, ხოლო მეორე ეტაპზე გუნდი რამდენიმე ამხანაგურ შეხვედრას გამართავს.

29 იანვარი: ტორპედო-რუდარ (ჩერნოგორია); **5 თებერვალი:** ტორპედო-ნაპრედაკი (სერბეთი); **10 თებერვალი:** ტორპედო-ლევადია (ესტონეთი); **13 თებერვალი:** ტორპედო-ოლეკსანდრია (უკრანია); **17 თებერვალი:** ტორპედო-დესნა (უკრაინა).

საქართველოს ფუტსალის ნაკრებს დღეს მნიშვნელოვანი მატჩი აქვს

დღეს საქართველოს ფუტსალის ნაკრები ევრო 2022-ის მე-2 ტურის მატჩის გამართავს ბოსნიის ნაკრებთან. აზერბაიჯანთან გამარჯვების შემდეგ, საქართველოს ნაკრებს 1 დღეს აღდგენითი ვარჯიში ჰქონდა, შემდეგ კი, გუნდი მზადებას სრული დატვირთვით განაგრძობდა. სწავრთნელ პროცესში 17 ფეხბურთელი მონაწილეობდა.

ზვიად კუპატაძე, საქართველოს ფუტსალის ნაკრების მეკარე და კაპიტანი:

– აზერბაიჯანის გუნდმა ჩვენთან მე-2 ნომრად დაიწყო თამაში. გაუმართლათ, 2-ვე მომენტი გამოიყენეს და დაცვიდან თამაში დაიწყეს. სტატისტიკა აჩვენებს, რომ კარში 3-ჯერ მეტი დარტყმა გვქონდა. ბევრი მომენტი შევქმენით და ვთვლი, რომ დამსახურებულად გავიმარჯვეთ. ევროპის ჩემპიონატზე სუსტი გუნდი არ მონაწილეობს. ყველას თავისი სპეციფიკა და პლუსები აქვს. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, როგორ გაარჩევ მოწინააღმდეგეს მოკლე დროში. ჩვენი მომდევნო მეტოქე ბოსნია ჰერცეგოვინა, ხშირად 5/4-ზე თამაშობს. ძალიან სერიოზული მეტოქეა, ვარჩევთ მეტოქის თამაშის სტილს და ყველაფერს თამაში აჩვენებს. შეგვიძლია მოგება და ყველაფერს გავაკეთებთ ამისთვის.

საქართველოსთან მოახლოებულ მატჩზე კომენტარი **ბოსნია-ჰერცეგოვინის ფუტსალის ნაკრების მწვრთნელმა ანტონიო ვიდოვიჩმაც** გააკეთა:

– საქართველოს ძლიერი ნაკრები ჰყავს, რომლის ბირთვსაც ნატურალიზებული ბრაზილიელები შეადგენენ. ვუყურე აზერბაიჯანთან მათ მატჩს და გამარჯვების საოცარი სურვილი ეტყობოდათ. ქართველებთან თამაში იოლი არ იქნება. თუმცა, ამბიციები ჩვენც არ გვაკლია. დარწმუნებული ვარ, სანახაობრივი მატჩი გამოვა და იმედია, მოგებული ბოსნია-ჰერცეგოვინა გამოვა. სხვა საქმეა, რომ ევროპის ჩემპიონატზე სუსტი ნაკრები უბრალოდ ვერ მოხვდება, ამდენად, ქულების წინასწარ დაგეგმვა შეუძლებელია. ერთადერთი, რასაც ჩვენს ქომაგს ვპირდებით, ბოლომდე ბრძოლაა.

შეგახსენებთ, რომ პირველ ტურში საქართველომ 3:2 დაამარცხა აზერბაიჯანის ნაკრები, ხოლო ბოსნია 1:5 დამარცხდა ესპანეთთან.

საქართველოსა და ბოსნიის ფუტსალის ნაკრებთა მატჩი დღეს 20:30 საათზე დაიწყება. აღსანიშნავია, რომ ორივე გუნდი ევროპირველობის ფინალური ეტაპის დებიუტანტია.

დღესვე ესპანეთი აზერბაიჯანს გაეჯიბრება.

სიხლიანი აფრიკის თასი

აფრიკის თასზე, კამერუნისა და კომორის კუნძულების ნაკრები გუნდების მატჩის დაწყების წინ, კამერუნის დედაქალაქ იაუნდეში, სტადიონ „ოლემბეზე“, ჭყლეტაში 8 ადამიანი დაიღუპა.

ტრაგედიის მიუხედავად, მატჩი ჩატარდა და მასპინძელმა ნაკრებმა 2:1 მოიგო.

კამერუნის ცენტრალური რეგიონის გუბერნატორმა ნასერი პოლ ბიამ თქვა, რომ მსხვერპლის რაოდენობა შესაძლოა მეტიც იყოს, რადგან ჯერ არ არიან მზად საბოლოო მონაცემების გამოცხადებისთვის.

დაშავებულთაგან ზოგი მძიმედ არის. მათი სპეციალიზებულ საავადმყოფოებში გადაყვანა მოუწიათ. დაზარალებულთა შორის არიან ბავშვებიც.

სოციალურ ქსელებში გავრცელდა ფოტოები, რომლებზეც აღბეჭდილია ჭყლეტა ჭიშკარში და გონებადაკარგული ადამიანები.

თვითმხილველთა მონაყოლის მიხედვით, ჭყლეტა გამოიწვია იმან, რომ სტიუარდებმა შესასვლელები დაკეტეს, გარეთ დარჩენილმა ხალხმა კი სტადიონზე შევარდნა სცადა.

თამაშზე დასწრებას 50.000 გულშემატკივარი ცდილობდა. „ოლემბეზე“ კი, რომელიც 60.000 მაყურებელს იტევს, კოვიდ-რეგულაციების თანახმად, 48.000 მაყურებლის დასწრება იყო დაშვებული.

ამავე მატჩში კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი დაფიქსირდა. კომორის ნაკრებმა აფრიკის თასის მერვედფინალში კამერუნის წინააღმდეგ ისე ითამაშა, რომ 90 წუთის განმავლობაში კარს პოზიციით მცველი, ჩახერ ალჰადური იცავდა.

საქმე ისაა, რომ კომორის კუნძულების ნაკრების განაცხადში მყოფი 3 მეკარიდან 2-ს კორონავირუსი აქვს, ხოლო ერთიც ტრავმირებულია. რეგლამენტით კი, ტურნირის მიმდინარეობისას ახალი ფეხბურთელის გამოძახება აკრძალულია. ამიტომაც, კარში ჩადგომა ცენტრალურ მცველს მოუწია.

სხვათა შორის, კუნძულელებმა მთავარი მწვრთნელის გარეშეც ითამაშეს (მასაც კორონავირუსი აქვს).

კუნძულელთა პრობლემებს ისიც დაემატა, რომ უკვე მე-7 წუთზე, ნაჯიმ აბდუს გაძევების შემდეგ რიცხობრივ უმცირესობაში დარჩნენ. მიუხედავად ამისა, კამერუნმა, რომელიც ტურნირის მასპინძელია, მეტოქეს დაძაბულ ბრძოლაში 2:1 მოუგო.

29-ე წუთზე ანგარიში კარლ ტოკო ეკამბინმ გახსნა, ხოლო 70-ე წუთზე ვინსენ აბუბაკარმა სხვაობა გააორმაგა. 81-ე წუთზე იუსუფ მჩანგამამ დაახლოებით 35 მეტრიდან ჯარიმა გაიტანა და სხვაობა შეამცირა. კუნძულელებს სხვა საგოლე მომენტებიც ჰქონდა, მაგრამ ვერ გამოიყენეს და დამარცხდნენ.

მათ ტურნირი თავაწეულებმა დატოვეს, რადგან გუნდმა აფრიკის თასის ფლეი ოფში პირველად ითამაშა, ჯგუფურ ეტაპზე პირველი გამარჯვებაც მოიპოვა.

კამერუნის ნაკრები მეოთხედფინალში გამბიის ნაკრებს შეხვდება, რომელმაც მერვედფინალში გვინეა 1:0 დაამარცხა.

ცნობილია კიდევ ერთი მეოთხედფინალური წყვილი: ბურკინა ფასო-ტუნისი, ხოლო 4 მერვედფინალური თამაში ჯერაც გასამართია: სენეგალი-კაბო ვერდე, მალი-ეკვატორული გვინეა, კოტ დივუარი-ეგვიპტე და მაროკო-მალავი.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა.

მადლიერ პაციენთა რიცხვი ათასობითაა:

ლია თეთრაშვილი: მქონდა მკერდის გამაგრება, მასტოპათია. ლამარა თოდუას მკურნალობით მთლიანად განვიკურნე.

დათო ჭელიძე: წლების განმავლობაში ვიტანჯებოდი ბუასილით. ყველას ვურჩევ, მიაკითხოს ლამარა თოდუას, ნამდვილად სასწაულს ახდენს მისი მალამო.

ჟანა ამირანაშვილი: ბავშვს საბავშო ბაღში გადაედო ტილები, შემდეგ მთელს ოჯახს გადაგვდო. ლამარა თოდუას მიერ დამზადებული ნაყენით ერთ პროცედურის შემდეგ სრულიად გავთავისუფლდით.

ლილი კიზირია: 83 წლის დედას წლები აწუხებდა ჰაიმორიტი, არც კი მჯეროდა, რომ მორჩებოდა, თოდუოების მალამოთი დედა დღეს თავს შესანიშნავად გრძნობს.

დღესასწაულების შემდეგ, ხშირად უჩივიან გულძმარვას (იჟოგას), ლამარა თოდუას გამწმენდი სითხეებით პრობლემა მოგეხსნებათ.

გაზაფხულზე ავიტამინოზი ხშირად თმის ბუდობრივი ცვენის მიზეზი ხდება. ლამარა თოდუა თავისი მალამოებით თმის ამოსვლის გარანტიას პირდება ყველა პაციენტს, ვინც მას მიაკითხავს.

ლამარა თოდუას მადლიერების წიგნი 5 ათასამდე მორჩენილი პაციენტის ჩანაწერებს ითვლის, სადაც ხშირად ამოიკითხავთ – „განვიკურნე სრულიად“.

ლამარა თოდუა კვალიფიციური კოსმეტოლოგია და მის მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს. არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. უღელტეხილი კავკასიონზე; 2. ხელჩართული ორთაბრძოლის ქართული სკოლა; 3. კუნძულოვანი სახელმწიფო სპარსეთის ყურეში; 4. საეკლესიო ლოცვათა, საგალობელთა კრებული; 5. შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების მიერ გამომუშავებული ნივთიერება; 8. ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველსაყოფი პრაქტიკულ ღონისძიებათა ერთობლიობა; 9. სახლზე დაშენებული არასრული სართული; 12. უკმაყოფილების მძაფრი გამოხატვა; 13. ზღვისპირა კურორტი სამეგრელოში; 16. მდინარე გაგრაში; 17. ქართული მინერალური წყალი; 19. ქართული ხალხური ზღაპარი; 20. დილის სადილი.

თარაზულად: 1. ერთ და იგივე ქიმიური ელემენტის არსებობა სხვადასხვა მარტივი ნივთიერებების სახით; 7. პირობითი ნიშანი გეოგრაფიულ რუკაზე; 8. სატრფიალო ხასიათის მეგრული ქალ-ვაჟის ცეკვა; 10. სასტუმროს ერთ-ერთი ტიპი; 11. ქვით ნაგები ღობე; 14. ტანსაცმლის მწარმოებელი იტალიური ფირმა; 15. ხალხური ზეპირსიტყვიერება; 18. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 21. ყურის ექიმი; 22. ღვინის სასმისი; 23. ქვის ხანის უძველესი პერიოდი; 24. ძველი გერმანული ტომი, რომელმაც დაარბია და გაძარცვა რომი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ნაბადი; 2. ლემა; 3. ჰერალდიკა; 4. ასაჰი; 5. ბოზბაში; 8. ძღვენი; 9. დისკოთეკა; 12. იამოტო; 14. ჯამილე; 16. აბანო.

თარაზულად: 1. ნაბეღლავი; 6. ნეგრესკო; 7. ბარძიმი; 9. დაბაღი; 10. რიწა; 11. სეკანსი; 13. დიჯეი; 15. სატირა; 17. ჰარლემი; 18. გოთიკა; 19. ბიბლია; 20. ნოკაუტი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ინდაური; 2. უკრაინა; 3. ჰიუსტონი; 4. კაკაჩი; 5. ბოცვერი; 8. მარტელი; 9. იოსემიტე; 12. ჩეფერინი; 13. ფსირცხა; 16. ვერდიქტი; 17. იაგუარი; 19. აწყური; 20. პუანტი.

თარაზულად: 6. ანტიკვარი; 7. ლაქტოზა; 8. მესტია; 10. ტურბინა; 11. ლეგო; 14. არსენალი; 15. აფერისტი; 18. თეორია; 21. წახნაგი; 22. ტუნგი; 23. ივრითი; 24. ციხისძირი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

26 იანვარი

აშშ დოლარი — 3.0720	ევრო — 3.4661
დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.1358	100 რუსული რუბლი — 3.9081

ამინდის პროგნოზი 26 იანვრისათვის

სერხიო რამოსი გოლის გამო ძალიან ბედნიერია

პსჟ-ს შემადგენლობაში სერხიო რამოსმა პირველი გოლი გაიტანა და მან ეს რეიმსის წინააღმდეგ გააკეთა შეხვედრაში, რომელიც პსჟ-მ 4:0 მოიგო.

მატჩის შემდეგ რამოსმა განაცხადა, რომ ის გოლის გამო ძალიან ბედნიერია:

– მინდა, რომ ამ გოლმა ის თავდაჯერებულობა მომცეს, რომელიც ადრე მქონდა და ძალიან მიხარია, რომ გოლის გატანა მოვახერხე. შევეცდები, რომ ჩემი თამაშით დავამტკიცო, რომ ძირითად შემადგენლობაში ყოფნას ვიმსახურებ.

ანსუ ფატი ოპერაციას არ გაიკეთებს



ბარსელონას ფორვარდი ანსუ ფატი ოპერაციას არ გაიკეთებს, თუმცა მას ურჩევდნენ, რომ სწორედ ამ მეთოდისთვის მიემართა. ფატი სარეაბილიტაციო კურსს გაივლის და, სავარაუდოდ, მან ორი თვის შემდეგ უნდა შეძლოს მოედანზე დაბრუნება.

ფატიმ წლევანდელ სეზონში უკვე მეორედ მიიღო ტრავმა და უკვე ვარაუდობენ, რომ მის კარიერაში შესაძლოა მუდმივად იყოს ეს პრობლემა.

ტომას ტუჰელმა ჩელსის მომავალზე ისაუბრა

ჩელსის მთავარმა მწვრთნელმა ტომას ტუჰელმა გუნდის მომავალზე ისაუბრა და თქვა, რომ მის კლუბს შეუძლია უმაღლესი მიზნებისთვის ბრძოლა, თუმცა წელს ამის გაკეთება იოლი არ იქნება:

– სამწუხაროდ, ბევრი ქულა დავკარგეთ და ჩემპიონობა გაგვიჭირდება, მაგრამ ჩელსი სხვა ტურნირებშიც თამაშობს და ამიტომ ჩვენ მაქსიმუმი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ გულშემატკივარი გავახაროთ.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

მამაკაცმა შეყვარებულის დედას თირკმელი შესწირა, გოგონა კი დაშორდა



მექსიკაში გოგონამ მიატოვა მამაკაცი, რომელმაც მისი სიყვარულის გამო დედამისს სიცოცხლის გადასარჩენად თირკმელი შესწირა.

იუზილ მარტინეზის თქმით, ოპერაციიდან დაახლოებით ერთ თვეში შეყვარებული გოგონა მას დაშორდა, უფრო მეტიც, ის სხვა მამაკაცს გაჰყვა ცოლად. მარტინეზის ვიდეო ტიკტოკში ვირუსული გახდა და 14 მილიონზე მეტი ნახვა მიიღო.

– მაგაზე არ იდარდო, ეს მან დაკარგა შენი სახით დიდებული მამაკაცი. არ გაჩერდე, წინსვლა განაგრძე და უეჭველად იპოვი იდეალურ ქალს, რომელიც სათანადოდ დაგაფასებს, – დაწერა ვიდეოს კომენტარში ერთ-ერთმა ინტერნეტმომხმარებელმა.

კიდევ ერთმა ურჩია, რომ იგივე შეცდომა არ გაიმეოროს, რაზეც მარტინეზმა ხუმრობით უპასუხა – ჩვენ სულ ორი თირკმელი გვაქვს და, ვინაიდან ერთი უკვე გავიღე, მეორეს ჩემთვის დავიტოვებ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

26 იანვრისათვის

ვერძი – იყავით გაბედული, თამამი. ხელოვნურ ურთიერთობებს ერიდეთ. ფინანსებს გაუფრთხილდით. **კურო** – საიდუმლოს ნურავის გაუმხელთ. მატერიალური მდგომარეობა საგრძნობლად გაგიუმჯობესდებათ. მშვიდი დღეა. **ტყუპები** – კოლექტიური საქმიანობისათვის შეუფერებელი პერიოდია. ყოველგვარი პრობლემა ინდივიდუალურად მოაგვარეთ. **კირჩხიბი** – შემოქმედებითი საქმიანობა გაამართლებს. შანსი გეძლევათ, თქვენი ნიჭი სრულყოფილად გამოიყენოთ. რჩევისათვის მეგობრებს მიმართეთ. **ლომი** – პირად ცხოვრებაში მოულოდნელი ცვლილებები მოხდება. მცდარი გადაწყვეტილება ფინანსურ დანაკარგებს გამოიწვევს. **ქალწული** – კონფლიქტური დღეა. ალკოჰოლის მიღება გეკრძალებათ. ქალაქგარეთ გასვლა, მივლინებები იღბლიანი იქნება. **სასწორი** – სხვისი ზეგავლენისაგან თავი დაიცავით. გადაწყვეტილებების მიღებისას მხოლოდ საკუთარ ინტუიციას დაეყრდენით. **ღრიანკალი** – გადით ქალაქგარეთ, დაკავდით სპორტით. საკუთარ პრინციპებს არ უღალატოთ. საღამოს ოჯახში სიტუაცია გეძაბებათ. **მშვილდოსანი** – ნუ გარისკავთ, თორემ ავანტიურაში ჩართვა არ აგცდებათ. თვითკონტროლი აუცილებელია. **თხის რქა** – სულიერი და მატერიალური აღმავლობის დღეა. რეალობის აღქმას ნუ დაკარგავთ. **მერწყული** – მოთმინება, თავშეკავება, სიყვარული და მიტევება დღის დევიზია. ბავშვების მიმართ მეტი ყურადღება გამოიჩინეთ. **თევზები** – სასიცოცხლო ძალები სუსტდება. მძიმე წუთებში დახმარებისათვის მხოლოდ ძალიან ახლობელ ადამიანებს მიმართეთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

ქმარი ცოლს ეუბნება:

– ძვირფასო, თვალები მაწუხებს, მგონი გამიცივდა.

– სხვა ქალებს კაბის ქვეშ რომ მისჩერებიხარ. იმის ბრალია!

– რა, ორპირი ქარია?

●●●

ხელისუფლების ერთი წარმომადგენელი მეორეს ეუბნება:

– სპეციალისტები ამბობენ, რომ მოსახლეობას ხელფასი ეზრდება.

– ხალხი კი ამტკიცებს, რომ არა.

– კი მაგრამ, ეგენი ხომ სპეციალისტები არ არიან...

●●●

მამაკაცი მაღაზიაში ფეხსაცმლის განყოფილებაში გამყიდველს ეკითხება:

– უკაცრავად, ნიანგის ჩექმები გაქვთ?

– რა თქმა უნდა და რა ზომა ფეხი აქვს თქვენ ნიანგს?

●●●

ერთი დაქალი მეორეს ეუბნება:

– დღეს ქმარს ვურეკავ და ვეკითხები: „გიყვარვარ ძვირფასო?“

– მერე, რა გიპასუხა?

– იყიდე! აი ესაა ნამდვილი ცოლქმრული ურთიერთგაგება.

●●●

კაცი ექიმს ეკითხება:

– ექიმო, კიდევ 40 წელი ვიცოცხლებ?

– ეგ სხვადასხვა ფაქტორზეა დამოკიდებული, მაგალითად, მეგობრებთან ერთად თუ ქეიფობთ?

– არა, არასოდეს.

– და მარტო სვამთ?

– არა, რას ამბობთ!

– ეწევით?

– არა, ექიმო! ცხოვრებაში არ მომიწევია.

– ქალებში თუ დადიხართ?

– არა!

– აბა, მაშინ რა ჩემ ფეხებად გინდა კიდევ 40 წლის სიცოცხლე?!

ფრანგი მორაგბე ანტუან დუპონი დემნას სამოსით ჟურნალის ყდაზე დაბეჭდეს

მსოფლიოში ცნობილი – 2021 წლის საუკეთესო ფრანგი მორაგბე ანტუან დუპონი ერთ-ერთი ფრანგული ჟურნალის ახალი ნომრის გარეკანზე დაბეჭდეს.

სპორტსმენს ქართველი დიზაინერის, დემნას ოტ კუტიურ კოლექციიდან ყვითელი კოსტიუმი აცვია.

ინტერნეტში ფოტოს გავრცელებამ ქართველებში დიდი მხიარულება გამოიწვია – ნაწილს თურქეთში ნაყიდი ფუმფულა ხალათი გაახსენდა, ნაწილს კი – ბებიის ნაქონი თბილი პალტო.

ნინუცა მაყაშვილმა რჩეული გამოაჩინა

მსახიობმა და ტელეწამყვანმა ნინუცა მაყაშვილმა თავისი რჩეული გამოაჩინა. მან ინტერნეტით საყვარელ მამაკაცთან ერთად გადაღებული ვიდეო გაავრცელა და საკუთარი სიხარული ათასობით ადამიანს გაუზიარა:

– ხანდახან ხვდები ადამიანს და უბრალოდ კომფორტულად გრძნობ თავს მასთან, თითქოს მთელი ცხოვრება იცნობ და მასთან სხვა ადამიანის როლის თამაში არ გჭირდება. ვიპოვე ადამიანი, რომელსაც არ ეშინია აღიაროს, რომ მოვენატრე. ვინც იცის, რომ არ ვარ სრულყოფილი, მაგრამ ისე მექცევა, თითქოს ვარ. ვისაც ყველაზე დიდი შიში აქვს ჩემი დაკარგვის. ვინც მთლიანად მჩუქნის გულს. ვინც ამბობს „მიყვარხარ“ და ეს სიმართლეა. დაბოლოს, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვისაც არ სურს, დილით ჩემთან ერთად გაიღვიძოს, ნაოჭებითა და არეული თმით, მაგრამ ყველაფერი ისევ თავიდან იგრძნოს!

კლდისუბანში უნიკალური სახლი დაიწვა

ძველ თბილისში, კლდისუბანში უნიკალური სახლი დაიწვა. სახლი, რომელიც მხატვრების ნამუშევრების ეპიცენტრში არაერთხელ მოხვედრილა.

ინფორმაცია ნანა კობალაძემ გაავრცელა:

– კლდისუბანში საშინელება მოხდა. ულამაზეს სახლს, რომელსაც გიგო გაბაშვილიდან დაწყებული, ყველა ქართველი და არაქართველი მხატვარი ხატავდა და ყველა ტურისტი აღტაცებული შესცქეროდა, ღამე ცეცხლი გაუჩნდა.

დახურულ ბინაში ხანძარი გაჩნდა! დიდი მადლობა ჩვენს გმირ მეხანძრეებს, ამ საშინელ სივიწროვეში უმანქანოდ რომ შეძლეს და გადაარჩინეს ეს უძველესი და ულამაზესი სახლი! მაგრამ შველა უნდა სასწრაფოდ.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ცუნამის მიერ ღია ზღვაში გატაცებული მამაკაცი ცოცხალი გადარჩა

ტონგას მკვიდრმა მამაკაცმა მას შემდეგ, რაც ის ცუნამმა ღია ზღვაში გაიტაცა, წყალში 28 საათი გაატარა და გადარჩა.

57 წლის პენსიონერმა ხურომ ლისალა ფოლაუმ, რომელიც პატარა კუნძულ ატალაზე 60 თანამემამულესთან ერთად ცხოვრობს, განაცხადა, რომ 15 იანვარს, საღამოს, საკუთარ სახლს ღებავდა, როდესაც ძმამ აცნობა, რომ მათკენ ცუნამი მოემართებოდა. მამაკაცი და მისი ნათესავი გოგონა თავის გადასარჩენად ხეზე აცოცდნენ.

როდესაც ქარიშხალი ჩადგა, ძირს ჩამოვიდნენ, მაგრამ მოულოდნელად უზარმაზარი ტალღა დაატყდათ თავს და ზღვაში გადაყარა. მამაკაცის თქმით, ფეხებზე პრობლემები აქვს, რის გამოც სიარული უჭირს. მას ესმოდა, როგორ უხმობდა ნაპირიდან შვილი, მაგრამ არ უპასუხა.

– გავიფიქრე, რომ თუ ვუპასუხებდი, ის ჩემ საშველად წყალში შემოვარდებოდა და, შესაძლოა, ორივე დავღუპულიყავით. ამიტომ, უბრალოდ, მივცურავდი და ვცდილობდი, დამეძლია ერთმანეთის მიყოლებით წამოსული ტალღები. იმედი მქონდა, რომ ხეზე ჩაჭიდებას შევძლებდი. ასეთ შემთხვევაში, რომ დავღუპულიყავი კიდეც, მაშველები ჩემს პოვნას შეძლებდნენ, ხოლო ნათესავები დამასაფლავებდნენ, – განაცხადა ტონგელმა.

მამაკაცმა კუნძულ ტოკეტოკემდე მიცურვა შეძლო. მან შენიშნა პოლიციის ნავი, რომელიც კუნძულ ატალასკენ მიემართებოდა და მათი ყურადღების მისაპყრობად ქსოვილის ფრიალი დაიწყო, თუმცა სამართალდამცავებს ის არ შეუნიშნავთ. ამის შემდეგ ფოლაუმ კუნძულ პოლოსკენ გაცურა. ის შვიდი საათი მიცურავდა. იქიდან ტონგელი კუნძულ ტონგატაპუსკენ გაემართა. ამ 7,5-კილომეტრიანი გაცურვის დროს ის ოჯახზე ფიქრობდა. საბოლოოდ მან ნაპირამდე ზღვაში გატაცებიდან 26 საათის შემდეგ მიაღწია. ხმელეთზე ამოსული მამაკაცი მაშველების ძებნას შეუდგა. მან, სიარული რომ მოეხერხებინა, ჯოხი შეარჩია. ამ დროს ის გზაზე მიმავალი მანქანის მძღოლმა შენიშნა, მანქანაში ჩაისვა და ოჯახთან დაკავშირებაში დაეხმარა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი ›



შვეულად: 1. ხეობა, ბუნებრივი ნაკრძალი კახეთში; 2. ფულის საერთაშორისო ერთეული; 3. ცრუ დაპირებებით მასებზე გავლენის მოხდენის მცდელობა; 4. დიდი ქრისტიანული დღესასწაული; 5. კუნძული მდინარე ენგურზე; 8. ვულკანი იტალიაში; 9. ბელგიაში მოთამაშე საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრების წევრი; 12. აეროპორტი ნიუ იორკში; 14. სპექტაკლი „კავკასიური ცარცის წრის“ პერსონაჟი; 16. ყურის ანთება.

თარაზულად: 1. ატმოსფერული წნევის საზომი ხელსაწყო; 6. დედამიწის ფორმებისა და ზომების შემსწავლელი მეცნიერება; 7. კურორტი ბორჯომის ხეობაში; 9. მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი სვანური სოფელი; 10. სუმოისტთა ტურნირი იაპონიაში; 11. ეკიპაჟის საცხოვრებელი სათავსო გემზე; 13. დასრულებული აზრის მქონე სიტყვათა წყობა; 15. ერთი მსახიობის თეატრი თბილისში; 17. ისტორიული სოფელი თეთრი წყაროს რაიონში; 18. ქლიავის ერთ-ერთი ჯიში; 19. ბუნებრივი ნაკრძალი, პოპულარული კლიმატური კურორტი ლიეტუვაში; 20. მადრიდის „ატლეტიკოს“ ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა